## ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

| ევროკავშირის სამართლებრივი აქტი<br>ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 25 ნოემბრის (EU) 2015/2302 დირექტივა<br>საგზურით მოგზაურობისა და კომბინირებული სამოგზაურო მომსახურებების შესახებ, რომლითაც ცვლილებები შედის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EC) No 2006/2004 და დირექტივაში 2011/83/EU და უქმდება საბჭოს დირექტივა 90/314/EEC | საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში<br><br>№1. საქართველოს კანონის პროექტი „ტურიზმის შესახებ“<br>№2. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“<br><br>შესაბამისობა:<br>სშ - სრულად შესაბამისი<br>ნშ - ნაწილობრივ შესაბამისი<br>შ - შეუსაბამო<br>ას - არასავალდებულო |
|---|---|

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| მუხლი ან ნაწილი | ნორმის ტექსტი | № | მუხლი ან პუნქტი (ნაწილი) | ნორმის ტექსტი | შესაბამისობა | შენიშვნები |
| 1 | ამ დირექტივის მიზანს წარმოადგენს შიდა ბაზრის სათანადო ფუნქციონირების ხელშეწყობა და მომხმარებელთა დაცვის მაღალი, ერთიანი დონის მიღწევა წევრი სახელმწიფოების კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების გარკვეულ ასპექტებთან მიახლოების გზით, ტურისტული პაკეტისა | 1 | 1 | ეს კანონი განსაზღვრავს ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას, ტურიზმის სუბიექტებსა და მიმართულებებს, აწესრიგებს ტურისტულ საქმიანობას, განსაზღვრავს ტურისტის, როგორც მომხმარებლის უფლებებისა და გარანტიებს და ტურისტული მომსახურების სახელშეკრულებო ურთიერთობებს, სახელმწიფო ხელისუფლების | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | და კომბინირებული ტურისტული მომსახურებების შესახებ ტურისტთა და მოვაჭრეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში. | | | და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციებსა და მოვალეობებს, ტურიზმის სფეროში კერძო და საჯარო თანამშრომლობის მექანიზმებს, ტურისტის უსაფრთხოებასთან და ტურიზმთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. | | |
| 2.1. | ეს დირექტივა ეხება პაკეტებს, რომელთაც მოვაჭრეები ყიდიან ტურისტებზე ან სთავაზობენ ფასდაკლებით და მოვაჭრეების მიერ ტურისტებისთვის უზრუნველყოფილ კომბინირებულ ტურისტული მომსახურებებს. | 1 | 12.1. | ეს თავი ეხება პაკეტებს, რომელთაც მოვაჭრეები ყიდიან ტურისტებზე ან სთავაზობენ ფასდაკლებით და მოვაჭრეების მიერ ტურისტებისთვის უზრუნველყოფილ კომბინირებულ სამოგზაურო მომსახურებებს. | სშ | |
| 2.2. | წინამდებარე დირექტივა არ ეხება:<br><br>(a) პაკეტებსა და კომბინირებულ ტურისტული მომსახურებებს, რომელთა ხანგრძლივობა 24 საათზე ნაკლებია, თუ მათში არ შედის ღამის გასათევი | 1 | 12.3.“ა“ | ამ თავის მოქმედება არ ვრცელდება:<br>ა) პაკეტებსა და კომბინირებულ ტურისტულ მომსახურებებზე, რომელიც გრძელდება 24 საათზე ნაკლები დროის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა თუ იგი მოიცავს ღამის თევით განთავსებას; | სშ | |
| 2.2. | b) შეთავაზებულ პაკეტებსა და უზრუნველყოფილ კომბინირებულ ტურისტული მომსახურებებს, რომლებიც შეთავაზებულია დროდადრო და არა | 1 | 12.3 „ბ“ | ბ) პაკეტებსა და კომბინირებულ ტურისტულ მომსახურებებზე, რომლებიც შეთავაზებულია არარეგულარულად, არაკომერციული მიზნით და მხოლოდ მოგზაურთა მცირე ჯგუფისთვის; | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოგების მიზნით და მხოლოდ მოგზაურთა მცირე ჯგუფისთვის; | | | | | |
| 2.2. | c) პაკეტებსა და კომბინირებულ ტურისტული მომსახურებებს, შეძენილი ზოგადი ხელშეკრულების საფუძველზე საქმიანი ტურისტობის მოსაწყობად მოვაჭრესა და სხვა ფიზიკურ პირს ან იურიდიულ პირს შორის, რომელიც მოქმედებს მის სავაჭრო, საქმიან, სახელობო ან პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მიზნებით. | 1 | 12.3 „გ“ | გ) პაკეტებსა და კომბინირებულ ტურისტულ მომსახურებებზე, რომელიც შესყიდულია მოვაჭრესა და სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შორის საქმიანი ტურისტობის შესახებ ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლებიც დაკავშირებულია პირის საქმიანობასთან, ვაჭრობასთან, პროფესიასთან. | სშ | |
| 2.3. | ეს დირექტივა გავლენას არ ახდენს ეროვნულ ზოგად სახელშეკრულებო სამართალზე, როგორიცაა წესები ხელშეკრულების ნამდვილობის, ფორმირებისა და გავლენის შესახებ, რამდენადაც ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის ასპექტები არ რეგულირდება ამ დირექტივით. | 1 | 12.6 | 6. ამ თავით განსაზღვრული სახელშეკრულებო მოთხოვნები გავლენას არ ახდენს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ზოგად სახელშეკრულებო სამართალზე, რომელიც რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3.1. | ამ დირექტივის მიზნებისთვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები:<br><br>(1) „ტურისტული მომსახურება“ ნიშნავს:<br><br>(a) მგზავრების გადაყვანას;<br>b) საცხოვრებელს, რომელიც თავისი არსით არ წარმოადგენს მგზავრების გადაყვანის ნაწილს და არაა განკუთვნილი საცხოვრებლად;<br><br>(c) მანქანებისა და სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაქირავებას ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2007/46/EC დირექტივის მუხლის 3(11) მნიშვნელობით[16], ან მოტოციკლების დაქირავებას, რომელთა სამართავად საჭიროა A კატეგორიის მართვის მოწმობა ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2006/126/EC მუხლის 4(3) ქვეპუნქტის (c) შესაბამისად;<br><br>(d) ნებისმიერი სხვა ტურისტული მომსახურება, რომელიც თავისი არსით არ | 1 | 2.“ყ“ | **ყ) ტურისტული მომსახურება** - ტურისტული საქმიანობის სუბიექტების მიერ მოგზაურობის დროს ტურისტთა მოთხონიების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული მომსახურება. ტურისტული მომსახურება ხორციელდება ტურისტთა მიერ ჯგუფური ან ინდივიდუალური, აგრეთვე ორგანიზებული მოგზაურობისას.<br><br>ყ.ა) ტურისტული პაკეტის და კომბინირებული ტურისტული მომსახურების მიზნებისათვის ტურისტული მომსახურებებია:<br><br>ყ.ა.ა) ტურისტის ტრანსპორტირება;<br><br>ყ.ა.ბ) განთავსების მომსახურება, რომელიც არ წარმოადგენს ტურისტის ტრანსპორტირების შემადგენელ ნაწილს და არ არის განკუთვნილი საცხოვრებელი მიზნებისთვის;<br><br>ყ.ა.გ) ავტომობილის, სხვა ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების (არანაკლებ 25 კმ/სთ სიჩქარის, ან მოტოცკლის, რომელიც მოითხოვს A კატეგორიის მართვის მოწმობას) გაქირავება;<br><br>ყ.ა.დ) ნებისმიერი სხვა ტურისტული მომსახურება, რომელიც არ წარმოადგენს „ყ.ა.ა“, „ყ.ა.ბ“ და „ყ.ა.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ტურისტული მომსახურების ნაწილს. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | არის ტურისტული მომსახურების ნაწილი (a), (b) ან (c) ქვეპუნქტების მნიშვნელობით; | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3.2. | პაკეტი“ არის მინიმუმ ორი განსხვავებული ტიპის ტურისტული მომსახურების კომბინაცია, რომელიც ემსახურება ერთი ტურისტობის ან დასვენების მიზანს, თუ:<br><br>(a) აღნიშნული მომსახურებები გაერთიანებულია ერთი მოვაჭრის მიერ, მათ შორის, ტურისტის მოთხოვნით ან მისი შერჩევით ყველა მომსახურებისთვის ერთი ხელშეკრულების გაფორმებამდე; ან<br>(b) მიუხედავად იმისა, არის თუ არა ინდივიდუალური ტურისტული მომსახურების მიმწოდებლებთან ცალკე ხელშეკრულებები დადებული, ეს მომსახურებები:<br><br>(i) შეძენილია ერთ რეალიზაციის პუნქტში და აღნიშნული მომსახურებები შეირჩა მანამ, სანამ ტურისტი დათანხმდებოდა გადახდაზე,<br><br>(ii) შეთავაზებულია, გაყიდულია ან შეფასებულია სრული მომსახურების ფასით ან საერთო ფასით,<br><br>(iii) რეკლამირებულია ან გაყიდულია ტერმინის „პაკეტი“ ან მსგავსი ტერმინის ქვეშ, | 1 | 2. „ძ“ | **ძ) ტურისტული პაკეტი** (შემდგომში – პაკეტი), ტურისტული პროდუქტი - ორი ან ორზე მეტი სხვადასხვა სახის ტურისტული მომსახურების ერთობლიობა, რომლებიც განკუთვნილია ერთი მოგზაურობისთვის, თუ:<br><br>ძ.ა) მომსახურებები გაერთიანებულია ერთი მოვაჭრის მიერ, მათ შორის, ტურისტის მოთხოვნით ან მისი შერჩევით, ყველა მომსახურებისთვის ერთი ხელშეკრულების გაფორმებამდე; ან<br>ძ.ბ) მიუხედავად იმისა, დადებულია თუ არა ცალ-ცალკე ხელშეკრულებები ტურისტული მომსახურების მიმწოდებლებთან, ეს მომსახურებები:<br>ძ.ბ.ა) შეძენილია გაყიდვის ერთ პუნქტში და მომსახურებების შერჩევა ხდება, ვიდრე ტურისტი განაცხადებს თანხმობას თანხის გადახდაზე;<br>ძ.ბ.ბ) შეთავაზებულია, იყიდება ან ანგარიშსწორება ხდება ჯამური ღირებულების სანაცვლოდ;<br>ძ.ბ.გ) რეკლამირებულია ან იყიდება „პაკეტის“ ან მსგავსი ტერმინის გამოყენებით;<br>ძ.ბ.დ) გაერთიანებულია იმ ხელშეკრულების დადების შემდგომ, რომლის საფუძველზეც მოვაჭრე უფლებამოსილებას ანიჭებს | სშ | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | (iv) გაერთიანებულია ხელშეკრულების დადების შემდეგ, რომლითაც მოვაჭრე ტურისტს უფლებას აძლევს, არჩევანი გააკეთოს სხვადასხვა ტიპის ტურისტული მომსახურებებს შორის,<br><br>(v) შეძენილია დამოუკიდებელი მოვაჭრეებისგან კომბინირებული ონლაინ დაჯავშნის პროცედურის მეშვეობით, როდესაც ტურისტის სახელი, გადახდის დეტალები და ელექტრონული ფოსტის მისამართი გადაეცემა მოვაჭრისგან, რომელთანაც გაფორმებულია პირველი ხელშეკრულება, მეორე მოვაჭრეს ან მოვაჭრეებს და ხელშეკრულება უკანასკნელ მოვაჭრესთან ან მოვაჭრეებთან დადებულია პირველი ტურისტული მომსახურების ჯავშანის დადასტურებიდან მაქსიმუმ 24 საათის განმავლობაში.<br>ტურისტული მომსახურებების კომბინაცია, როდესაც არაუმეტეს ერთი ტიპის ტურისტული მომსახურება, მითითებული 1-ლი პუნქტის (a), (b) ან (c) ქვეპუნქტებში, გაერთიანებულია 1-ლი პუნქტის (d) ქვეპუნქტში მითითებულ ერთ ან მეტ ტურისტულ მომსახურებასთან, არ არის პაკეტი, თუ ეს უკანასკნელი მომსახურებები: | | | ტურისტს, სხვადასხვა სახის ტურისტულ მომსახურებებს შორის გააკეთოს არჩევანი; ან<br>ძ.ზ.ე) შეძენილია სხვადასხვა მოვაჭრისაგან ერთმანეთთან დაკავშირებული ონლაინ დაჯავშნის პროცედურით, თუ მოვაჭრე, რომელთანაც პირველი ხელშეკრულებაა დადებული, სხვა მოვაჭრეს/მოვაჭრეებს გადასცემს ტურისტის სახელს, გადახდის დეტალებს და ელექტრონული ფოსტის მისამართს და ამ უკანასკნელ მოვაჭრესთან/მოვაჭრეებთან იდება ხელშეკრულება პირველი ტურისტული მომსახურების დაჯავშნის დადასტურებიდან არაუგვიანეს 24 საათისა.<br>გარდა იმ შემთხვევებისა:<br>ძ.გ) თუ ამ მუხლის „ყ.ა.ა“, „ყ.ა.ბ“ და „ყ.ა.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურებებიდან არაუმეტეს ერთი მომსახურებისა გაერთიანებულია ამავე მუხლის „ყ.ა.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ერთ ან მეტ ტურისტულ მომსახურებასთან, არ წარმოადგენს პაკეტს, თუ ეს უკანასკნელი ტურისტული მომსახურება/მომსახურებები;<br><br>ძ.გ.ა) არ შეადგენს/შეადგენენ ტურისტული მომსახურებების ჯამური ღირებულების მინიმუმ 25%-ს და არ არის რეკლამირებული და არც სხვა მხრივ წარმოადგენს ტურისტული | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (a) არ შეადგენს კომბინაციის ღირებულების მნიშვნელოვან წილს და არაა რეკლამირებული, როგორც კომბინაციის არსებითი ელემენტი და სხვაგვარად არ წარმოადგენს კომბინაციის არსებით ელემენტს; ან<br>(b) შერჩეული და შეძენილია მხოლოდ 1-ლი პუნქტის (a), (b) ან (c) ქვეპუნქტში მითითებული ტურისტული მომსახურების დაწყების შემდეგ; | | | მომსახურებების ერთობლიობის არსებით ნაწილს; ან<br><br>ძ.გ.ზ) არჩეული და შეძენილია მას შემდეგ, რაც ამ მუხლის „ყ.ა.ა“ „ყ.ზ.ა“ ან „ყ.გ.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტურისტული მომსახურების შესრულება დაწყებულია. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3.3. | (3) „საგზურით ტურისტობის ხელშეკრულება“ არის ხელშეკრულება ტურისტული პაკეტის შესახებ მთლიანობაში ან, თუ პაკეტი გათვალისწინებულია ცალკეულ ხელშეკრულებებში, ყველა ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს პაკეტში გათვალისწინებულ ტურისტული მომსახურებებს; | 1 | 2. „წ“ | **წ) ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება** - პაკეტის შესახებ ერთიანი ხელშეკრულება; ან თუ პაკეტი წარმოდგენილია ცალ-ცალკე ტურისტული მომსახურებების ხელშეკრულებებით, ამ ხელშეკრულებების ერთობლიობა; | სშ | |
| 3.4. | (4) „პაკეტის დაწყება“ ნიშნავს პაკეტში გათვალისწინებული ტურისტული მომსახურებების დაწყებას; | 1 | 2. „ჭ“ | ჭ) პაკეტის დაწყება - პაკეტით გათვალისწინებული მომსახურებების დაწყება; | სშ | |
| 3.5. | (5) კომბინირებული ტურისტული მომსახურებები“ ნიშნავს მინიმუმ ორი სხვადასხვა ტიპის ტურისტული მომსახურებას, რომლებიც შეძენილია ერთი და იმავე ტურისტობის ან დასვენების ფარგლებში და არ შეადგენს პაკეტს და სჭირდება ცალკე ხელშეკრულებების დადება ტურისტული მომსახურების ინდივიდუალურ მიმწოდებლებთან, თუ მოვაჭრე უზრუნველყოფს: | 1 | 2.“მ“ | მ) კომბინირებული ტურისტული მომსახურება - არანაკლებ ორი სხვადასხვა ტიპის ტურისტული მომსახურება, რომლებიც შეძენილია ერთი და იმავე მოგზაურობის ფარგლებში და არ შეადგენს პაკეტს და ხდება ცალკე ხელშეკრულებების დადება ტურისტული მომსახურების ინდივიდუალურ მიმწოდებლებთან, თუ მოვაჭრე უზრუნველყოფს: | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (a) ერთ ვიზიტს ან კავშირს რეალიზაციის პუნქტთან, ტურისტების მიერ თითოეული ტურისტული მომსახურების ცალ-ცალკე შერჩევას და გადასახადის ცალ-ცალკე გადახდას; | | 2.მ.ა | მ.ა) ტურისტის ერთ ვიზიტს ან კავშირს მის რეალიზაციის პუნქტთან, ტურისტის მიერ თითოეული ტურისტული მომსახურების ცალ-ცალკე შერჩევას და გადასახადის ცალ-ცალკე გადახდას; ან | | |
| 3.5. | (b) მიზანმიმართულად, სხვა მოვაჭრისგან მინიმუმ ერთი დამატებითი ტურისტული მომსახურების შეძენას, როდესაც ხელშეკრულება ამგვარ სხვა მოვაჭრესთან დადებულია პირველი ტურისტული მომსახურების ჯავშანის დადასტურებიდან მაქსიმუმ 24 საათის განმავლობაში.<br><br>როდესაც შეძენილია არაუმეტეს ერთი ტიპის ტურისტული მომსახურებისა, მითითებული 1-ლი პუნქტის (a), (b) ან (c) ქვეპუნქტში და ერთი ან მეტი ტურისტული მომსახურება, მითითებული 1-ლი პუნქტის (d) ქვეპუნქტში, ისინი არ წარმოადგენს კომბინირებულ ტურისტული მომსახურებას, თუ ეს უკანასკნელი მომსახურებები არ შეადგენს მომსახურებების გაერთიანებული ღირებულების მნიშვნელოვან წილს და არაა რეკლამირებული, როგორც ტურისტობის ან დასვენების არსებითი ელემენტი და სხვაგვარად არ წარმოადგენს ტურისტობის ან დასვენების არსებით ელემენტს. | 1 | 2.“მ.ბ“<br><br>2.“მ.გ“ | მ.ბ)მიზანმიმართულად, სხვა მოვაჭრისგან მინიმუმ ერთი დამატებითი ტურისტული მომსახურების შეძენას, როდესაც ხელშეკრულება ამგვარ სხვა მოვაჭრესთან დადებულია პირველი ტურისტული მომსახურების ჯავშნის დადასტურებიდან მაქსიმუმ 24 საათის განმავლობაში.<br><br>მ.გ) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეძენილია არაუმეტეს ამ მუხლის „ღ.ა“ ქვეპუნქტის „ღ.ა.ა“, „ღ.ა.ბ“ ან „ღ.ა.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთი სახის ტურისტული მომსახურება და „ღ.ა.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ერთი ან მეტი ტურისტული მომსახურება, ისინი არ წარმოადგენს კომბინირებულ ტურისტულ მომსახურებას, თუ ეს უკანასკნელი მომსახურებები არ შეადგენს ტურისტული მომსახურების საერთო ღირებულების მინიმუმ 25%-ს და არ არის რეკლამირებული, როგორც მოგზაურობის ან დასვენების არსებითი ელემენტი და სხვაგვარად არ წარმოადგენს არ | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | წარმოადგენს მოგზაურობის ან დასვენების არსებით ელემენტს. | | |
| 3.6. | „ტურისტი“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელსაც სურს ხელშეკრულების დადება ან, რომელსაც აქვს უფლება, იტურისტოს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ამ დირექტივის რეგულირების სფეროს ფარგლებში; | 1 | 2.“თ.ა.ა.“ | ამ კანონის V თავის მიზნებისთვის, ტურისტი არის პირი, რომელსაც სურს ხელშეკრულების დადება ან, რომელსაც აქვს უფლება, იმოგზაუროს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. | სშ | |
| 3.7. | „მოვაჭრე“ გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მიუხედავად იმისა, კერძო საკუთრებაშია ის, თუ საჯარო საკუთრებაში, რომელიც მოქმედებს, მათ შორის, ნებისმიერი სხვა პირის მეშვეობით მისი სახელით ან მის სასარგებლოდ, თავისი სავაჭრო, სამეწარმეო, სახელობო ან პროფესიული საქმიანობის მიზნებისთვის ამ დირექტივით განსაზღვრულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, მოქმედებს ტუროპერატორორის, ინდივიდუალური კომპანიის, კომბინირებული ტურისტული მომსახურების უზრუნველმყოფი მოვაჭრისა თუ ტურისტული მომსახურების მიმწოდებლის სტატუსით; | 1 | 2.“ო“ | **ო) მოვაჭრე** - პირი, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას და ამ კანონის მოწესრიგებულ ურთიერთობებში მონაწილეობს, როგორც ტუროპერატორი, ტურაგენტი, კომბინირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3.8. | „ტუროპერატორორი“ ნიშნავს მოვაჭრეს, რომელიც აერთიანებს და ყიდის ან ფასდაკლებით სთავაზობს პაკეტებს პირდაპირ ან სხვა მოვაჭრის მეჩვეობით, ან სხვა მოვაჭრესთან ერთად, ან მოვაჭრეს, რომელიც გადასცემს ტურისტის მონაცემებს სხვა მოვაჭრეს მე-2 პუნქტის (b)(v) ქვეპუნქტის შესაბამისად; | 1 | 2.“ც“ | **ც) ტუროპერატორი** - პირი, რომელიც ქმნის და ყიდის (ან სთავაზობს გასაყიდად) ტურისტულ პაკეტს თვითონ ან ტურაგენტის მეშვეობით ან ტურაგენტთან ერთად, ან რომელიც აწვდის ტურისტის მონაცემებს ტურისტული მომსახურების სხვა მიმწოდებელს ამ მუხლის „მ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. | სშ | |
| 3.9. | „ინდივიდუალური კომპანია“ არის მოვაჭრე, არატუროპერატორორი, რომელიც ყიდის ან ფასდაკლებით სთავაზობს ტუროპერატორორის მიერ გაერთიანებულ საგზურებს; | 1 | 2.“შ“ | **შ) ტურისტული სააგენტო (ტურაგენტი)** - პირი რომელიც ყიდის ან გასაყიდად სთავაზობს როგორც ტუროპერატორის მიერ შექმნილ ტურისტულ პაკეტს, ასევე, ცალკეულ ტურისტულ მომსახურებას. | სშ | |
| 3.10. | „დაწესებულება“ არის დირექტივის 2006/123/EC მე-4 მუხლის მე-5 ქვეპუნქტში განსაზღვრული დაწესებულება | --- | ---- | ----------- | ას | აღნიშნული დირექტივა ტექსტში „დაწესებულებას“ აღარ იყენებს. მიზანშეწონილად ჩაითვალა, მხოლოდ „ტურისტული მომსახურების |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | რეალიზაციის პუნქტის“ ასახვა. |
| 3.11. | „ხანგამძლე მატარებელი“ გულისხმობს ნებისმიერ ინსტრუმენტს, რომელიც ტურისტს ან მოვაჭრეს საშუალებას აძლევს, შეინახოს პირადად მისთვის გამიზნული ინფორმაცია იმგვარად, რომ მომავალში ხელმისაწვდომი იყოს საინფორმაციო მიზნებისთვის ადეკვატურ დროის მონაკვეთში და, რომელიც იძლევა შენახული ინფორმაციის უცვლელად აღდგენის შესაძლებლობას; | 1 | 2.ჳ1) | **ჳ1) ხანგამძლე მატარებელი** - ნებისმიერი ინსტრუმენტი (მათ შორის ელექტრონული), რომელიც აძლევს ტურისტს/მომხმარებელსდა მოვაჭრეს მისთვის პირადად მიწოდებული ინფორმაციის შენახვის საშუალებას, ამ ინფორმაციის გამოყენებისათვის საჭირო დროის განმავლობაში, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უცვლელად რეპროდუცირების შესაძლებლობა. | სშ | |
| 3.12. | „გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებები“ გულისხმობს სიტუაციას, რომელსაც ვერ აკონტროლებს მხარე, რომელიც იწვევს ამგვარ სიტუაციას და რომლის შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელია ყველა მიზანშეწონილი ღონისძიების გატარების შემთხვევაშიც კი.“ | 1 | 2) ჳ4 | **გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებები** - გულისხმობს სიტუაციას, რომელსაც ვერ აკონტროლებს მხარე, რომელიც იწვევს ამგვარ სიტუაციას და რომლის შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელია ყველა მიზანშეწონილი ღონისძიების გატარების შემთხვევაშიც კი.“ | სშ | |
| 3.13. | „შეუსაბამობა“ ნიშნავს საგზურით გათვალისწინებული ტურისტული მომსახურებების ვერშესრულებას ან არასათანადოდ შესრულებას; | 1 | 2) ჳ5) | **შეუსაბამობა** - პაკეტით გათვალისწინებული ტურისტული მომსახურებების ვერშესრულება ან არასათანადოდ შესრულებას; | სშ | ------------- |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3.14. | „არასრულწლოვანი“ არის პირი 18 წლის ასაკამდე; | 2 | 12.2 | სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია. | სშ | |
| 3.15. | „რეალიზაციის პუნქტი“ ნიშნავს ნებისმიერ საცალო ვაჭრობისთვის განკუთვნილ ნაგებობას, იქნება ის მოძრავი თუ უძრავი, ან საცალო ვაჭრობისთვის განკუთვნილ ვებგვერდს, ან მსგავს ონლაინ გაყიდვის საშუალებას, მათ შორის, როდესაც საცალო ვაჭრობისთვის განკუთვნილი ვებგვერდები ან ონლაინ გაყიდვის საშუალებები წარდგენილია ტურისტებისთვის, როგორც ცალკეული საშუალება, მათ შორის, სატელეფონო მომსახურება; | 1 | 2. „ე“ | **ე) ტურისტული მომსახურების რეალიზაციის პუნქტი** - ტურისტული პაკეტისა და კომბინირებული ტურისტული მომსახურების რეალიზაციისთვის განკუთვნილი ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ქონება, ვებ-გვერდი, ან მსგავსი ონლაინ გაყიდვების საშუალებები, ასევე, სატელეფონო მომსახურება; თუ ვებგვერდები ან ონლაინ გაყიდვების საშუალებები წარმოდგენილია როგორც ერთიანი პლატფორმა, იგი წამოადგენს გაყიდვის ერთიან პუნქტს. | სშ | |
| 3.16. | „რეპატრიაცია“ გულისხმომს ტურისტის დაბრუნებას გამგზავრების ადგილას ან სხვა ადგილას, რომელზეც შეთანხმდებიან ხელშეკრულების მხარეები. | 1 | 2.“ფ“ | **ფ) რეპატრიაცია** - ტურისტის დაბრუნება გამგზავრების ადგილას ან ნებისმიერ ადგილას, რომლის თაობაზეც ტურისტული პაკეტის ან/და კომბინირებული ტურისტული მომსახურების ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდებიან. | სშ | |
| 4 | ჰარმონიზაციის დონე<br><br>თუ სხვაგვარად არაა გათვალისწინებული ამ დირექტივით, წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში არ უნდა დატოვონ ან შემოიღონ დებულებები, რომლებიც | | | ---------------- | სშ | პროექტი არ სცილდება დირექტივის მოთხოვნებს |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სცილდება ამ დირექტივაში მოცემულ დებულებებს, მათ შორის, მეტად ან ნაკლებად მკაცრი დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფდა ტურისტის დაცვის განსხვავებულ დონეს. | | | | | |
| 5.1. | წინასახელშეკრულებო ინფორმაცია<br><br>1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მანამ, სანამ ტურისტი დაექვემდებარება საგზურით ტურისტობის რაიმე ხელშეკრულების ან რაიმე შესაბამისი შეთავაზების ვალდებულებებს, ტუროპერატორორმა და, როდესაც პაკეტი გაყიდულია ინდივიდუალური კომპანიის მეშვეობით, ასევე ინდივიდუალურმა კომპანიამ ტურისტს უნდა მიაწოდოს სტანდარტული ინფორმაცია დანართის I ნაწილში A ან ნაწილში B მოცემული შესაბამისი ფორმის საშუალებით და, საჭიროების შემთხვევაში, ტურისტი უნდა უზრუნველყოს პაკეტთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაციით:<br><br>(a) ტურისტული მომსახურებების მთავარი მახასიათებლები: | 1 | 13.1<br><br><br><br><br><br><br><br>13.2 „ა“ | 1. ტურისტს, ტურისტულ პაკეტის ან სხვა შესაბამის შეთავაზებასთან დაკავშირებით, ხელშეკრულების დადებამდე, ტუროპერატორმა, ტურაგენტმა ან სხვა მოვაჭრემ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ამ კანონის დანართის I-ის A და B ნაწილებით გათვალისწინებული სტანდარტული ფორმების შესახებ.<br>2. გარდა პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, კონკრეტული ტურისტული პაკეტის შემთხვევაში ტურისტს დამატებით უნდა მიეწოდოს შემდეგი წინასახელშეკრულებო ინფორმაცია:<br>ა) ტურისტული მომსახურების ძირითადი მახასიათებლები:<br>ა.ა) დანიშნულების ადგილი, მარშრუტის და პერიოდის (თარიღების) მითითებით, თუ პაკეტი მოიცავს განთავსების მომსახურებას - გასათევი ღამეების რაოდენობა; | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (i) ტურისტობის ადგილი (ადგილები), მარშრუტი და დაყოვნების პერიოდი თარიღებითურთ და, თუ საცხოვრებელსაც მოიცავს, ღამეების რაოდენობა;<br><br>(ii) სატრანსპორტო საშუალებები, ტრანსპორტის მახასიათებლები და კატეგორიები, გამგზავრების ადგილები, თარიღები, ასევე გამგზავრებისა და დაბრუნების დრო, შუალედური გაჩერებების ხანგრძლივობა და ადგილები, ასევე და დამაკავშირებელი სატრანსპორტო ხაზები.<br><br>თუ ზუსტი დრო ჯერ დადგენილი არ არის, ტუროპერატორორმა და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურმა კომპანიამ ტურისტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გამგზავრებისა და დაბრუნების მიახლოებითი დროის შესახებ;<br><br>(iii) საცხოვრებლის ადგილმდებარეობა, მთავარი მახასიათებლები და, საჭიროების შემთხვევაში, ტურისტული კატეგორია დანიშნულების ქვეყნის წესების მიხედვით;<br><br>(iv) კვების გეგმა; | | | ა.ბ) გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალების მახასიათებლები და მათი კატეგორია, დანიშნულების ადგილი, გამგზავრებისა და დაბრუნების ადგილი, თარიღი და დრო, შუალედური გაჩერებების დრო და ადგილები. თუ გამგზავრების და დაბრუნების თარიღები ზუსტად არ არის დადგენილი, ტურისტს უნდა ეცნობოს მიახლოებითი თარიღების შესახებ.<br>ა.გ) განთავსების საშუალების ადგილმდებარეობა, ძირითადი მახასიათებლები და კატეგორია დანიშნულების ქვეყნის რეგულაციების შესაბამისად;<br>ა.დ) კვების განრიგი;<br>ა.ე) ვიზიტების, ექსკურსიების ან სხვა მომსახურებები, რომლებიც პაკეტის შეთანხმებულ ჯამურ ღირებულებაში შედის;<br>ა.ვ) ჯგუფის სავარაუდო ზომა, თუ ტურისტული მომსახურება ტურისტს მიეწოდება, როგორც ჯგუფის წევრს;<br>ა.ზ) საკომუნიკაციო ენა, რომელზეც აღნიშნული მომსახურებები იქნება გაწეული;<br>ა.თ) იმის შესახებ არის თუ არა ტურისტობა ადაპტირებული შეზღუდული გადაადგილების უნარის მქონე პირებისათვის, ტურისტის მოთხოვნის შემთხვევაში, ზუსტი | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (v) ვიზიტები, ექსკურსია (ექსკურსიები) ან სხვა მომსახურებები, რომლებიც შედის პაკეტისთვის შეთანხმებულ საერთო ფასში;<br><br>(vi) თუ კონტექსტიდან არ ჩანს - გაეწევა თუ არა ტურისტს რომელიმე ტურისტული მომსახურება, როგორც ჯგუფის წევრს და თუ გაეწევა - ჯგუფის მიახლოებითი ზომა;<br><br>(vii) თუ ტურისტის სარგებელი სხვა ტურისტული მომსახურებებიდან დამოკიდებულია ეფექტურ ზეპირ კომუნიკაციაზე, ენა, რომლზეც ეს მომსახურებები წარიმართება;<br><br>(viii) არის თუ არა, ზოგადად, ტურისტობა ან დასვენება შესაფერისი გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირებისთვის და, ტურისტის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში - ზუსტი ინფორმაცია ტურისტობის ან დასვენების შესაფერისობის შესახებ, ტურისტის საჭიროებების გათვალისწინებით; | | | ინფორმაცია, მისი საჭიროებების გათვალისწინებით. | | |
| 5.1. | (b) ტუროპერატორორის და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური კომპანიის დასახელება და გეოგრაფიული მისამართი, აგრეთვე, ტელეფონის ნომრისა და, | 1 | 13.2 „ბ“ | ბ) ტუროპერატორის ან/და ტურაგენტის სახელის და იურიდიული მისამართის, ტელეფონის ნომრის და ელ-ფოსტის მისამართის შესახებ; | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საჭიროების შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითებით; | | | | | |
| 5.1. | (c) საგზურის საერთო ფასი გადასახადების ჩათვლით და, საჭიროების შემთხვევაში, ყველა დამატებითი მოსაკრებლის, დანახარჯისა და სხვა ხარჯის მითითებით ან, თუ ამ ხარჯების გამოთვლა შეუძლებელია ხელშეკრულების დადებამდე, დამატებითი ხარჯების ტიპის მითითებით, რომლებიც ტურისტს შესაძლებელია დაეკისროს; | 1 | 13.2 „გ“ | გ) პაკეტის ჯამური ღირებულება გადასახადებისა და ყველა სხვა დამატებითი ხარჯის ჩათვლით, ან, თუ აღნიშნული ხარჯების გონივრული გაანგარიშება ხელშეკრულების დადებისას წინასწარ შეუძლებელია, მითითებას დამატებითი ხარჯების შესახებ, რომელთა გაწევაც ტურისტს შეიძლება დაეკისროს; | სშ | |
| 5.1. | (d) გადახდის პირობები, მათ შორის, ნებისმიერი თანხა ან ფასის პროცენტი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს, როგორც პირველადი შენატანი და ნაშთის გადახდის განრიგი, ან ფინანსური გარანტიები, რომლებიც უნდა გადაიხადოს ან უზრუნველყოს ტურისტმა; | 1 | 13.2 „დ“ | დ) გადახდის მეთოდების, მათ შორის, ნებისმიერი თანხა ან ღირებულების ნაწილი, რომელსაც ტურისტი წინასწარ იხდის და დარჩენილი თანხის გადახდის ან ტურისტის მიერ ფინანსური გარანტიების წარდგენის გრაფიკი; | სშ | |
| 5.1. | (e) პაკეტის შესადგენად აუცილებელი პირთა მინიმალური რაოდენობა და ვადა (პაკეტის დაწყებამდე), რომელიც მითითებულია მუხლის 12(3) ქვეპუნქტში (a) იმ შემთხვევისთვის, თუ რაოდენობა არ | 1 | 13.2 „ე“ | ე) პაკეტისათვის საჭირო პირების მინიმალური რაოდენობის შესახებ და ინფორმაცია პაკეტის დაწყებამდე რამდენი დღით ადრე შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულება, თუ არ შეიკრიბა აღნიშნული რაოდენობა; | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შეივსება და ამის გამო შეწყდება ხელშეკრულება; | | | | | |
| 5.1. | (f) ზოგადი ინფორმაცია პასპორტისა და ვიზის მოთხოვნების შესახებ, მათ შორის, ვიზების მიღების მიახლოებითი ვადები და ინფორმაცია სამედიცინო მომსახურების პროცედურების შესახებ დანიშნულების ქვეყანაში; | 1 | 13.2 „ვ“ | ვ) პასპორტთან ან/და ვიზასთან (მათ შორის ვიზის მისაღებად საჭირო დროის შესახებ) და დანიშნულების ქვეყანაში არსებული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ; | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5.1. | (g) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტურისტს აქვს უფლება, შეწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს, პაკეტის დაწყებამდე, შესაბამისი შეწყვეტის მოსაკრებლის გადახდის სანაცვლოდ ან, საჭიროების | 1 | 13.2 „ზ“ | ზ) ტურისტის უფლების შესახებ, ტურისტული პაკეტის განხორციელების დაწყებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ; | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შემთხვევაში, ტუროპერატორორის მიერ მოთხოვნილი სტანდარტული შეწყვეტის მოსაკრებლების გადახდის სანაცვლოდ, მუხლის 12(1) შესაბამისად; | | | | | |
| 5.1. | (h) ინფორმაცია ნებაყოფლობითი ან სავალდებულო დაზღვევის შესახებ, რომელშიც შედის ტურისტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ხარჯები და დახმარების ხარჯები, მათ შორის, ხარჯები რეპატრიაციის, უბედური შემთხვევის, ავადმყოფობის ან სიკვდილის შემთხვევაში.<br><br>საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც იდება ტელეფონით, ტუროპერატორორმა და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურმა კომპანიამ ტურისტს უნდა მიაწოდოს სტანდარტული ინფორმაცია, რომელიც მოცემულია დანართის I ნაწილში B და პირველი აბზაცის (a) - (h) ქვეპუნქტებში განსაზღვრული ინფორმაცია. | 1 | 13.2 „თ“<br><br>13.3 | თ) ნებაყოფლობითი ან სავალდებულო დაზღვევის შესახებ, რომელიც ფარავს ტურისტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეულ ხარჯებს ან/და ზიანის(ზარალის) ანაზღაურების ხარჯებს, მათ შორის, რეპატრიაციის, უბედური შემთხვევის, ავადმყოფობის ან სიკვდილის შემთხვევაში.<br><br>3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება იდება ტელეფონით, ტურისტს მიეწოდება დანართი I-ის B ნაწილით და ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-“თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია. | სშ | |
| 5.2. | რაც შეეხება მუხლის 3 პუნქტის 2(b)(v) ქვეპუნქტში განსაზღვრულ პაკეტებს, ტუროპერატორორმა და მოვაჭრემ, | 1 | 13.4 | 4.ამ კანონის მე-2 მუხლის „ძ.ბ.ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში მოვაჭრე, რომელიც ყიდის პაკეტს, ვალდებულია | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რომელთაც გადაეცემათ მონაცემები, უნდა უზრუნველყონ, რომ თითოეულმა მათგანმა, მანამ, სანამ ტურისტი დაექვემდებარება ხელშეკრულებას ან რაიმე შესაბამის შეთავაზებას, მას მიაწოდონ ამ მუხლის 1-ლი პუნქტის პირველი აბზაცის (a) - (h) ქვეპუნქტებში განსაზღვრული ინფორმაცია იმდენად, რამდენადაც ის ეხება მათ მიერ შეთავაზებულ შესაბამის ტურისტული მომსახურებებს. ამავდროულად, ტუროპერატორორმა ასევე უნდა მიაწოდოს სტანდარტული ინფორმაცია დანართის I ნაწილში C განსაზღვრული ფორმის გამოყენებით. | | | შეატყობინოს ტურისტს, რომ პირველი მოვაჭრისაგან მომსახურების შეძენის დადასტურებიდან 24 საათის განმავლობაში მეორე მოვაჭრისგან მომსახურების შეძენა ერთობლიობაში ჩაითვლება ტურისტულ პაკეტად. ამ შემთხვევაში, თითოეულმა მათგანმა ტურისტს უნდა მიაწოდოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-“თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი და დანართი I-ის C ნაწილით განსაზღვრული ინფორმაცია. | | |
| 5.3. | 1-ელ და მე-2 პუნქტებში მითითებული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს გარკვევით, ამომწურავად და თვალსაჩინოდ. როდესაც ამგვარი ინფორმაცია მიეწოდება წერილობითი ფორმით, ის უნდა იყოს ადვილად წასაკითხი. | 1 | 13.5 | 5. ამ მუხლით გათვალისწინებული მითითებული ინფორმაცია ტურისტს უნდა მიეწოდოს გარკვევით, ამომწურავად და თვალსაჩინოდ. როდესაც ამგვარი ინფორმაცია მიეწოდება წერილობითი ფორმით, ის უნდა იყოს ადვილად წასაკითხი და აღქმადი. | სშ | |
| 6.1. | წინასახელშეკრულებო ინფორმაციის სავალდებულოო ხასიათი და საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების დადება<br><br>1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მუხლის 5(1) პირველი აბზაცის (a), (c), (d), (e) და (g) ქვეპუნქტების მიხედვით, ტურისტისთვის მიწოდებული | 1 | 14.1. | 1. ამ კანონის მე-13 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაცია ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და იგი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ტუროპერატორი ან/და ტურაგენტი ვალდებულია ხელშეკრულების დადებამდე | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ინფორმაცია წარმოადგენდეს საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და არ შეიცვალოს, თუ ხელშეკრულების მხარეები პირდაპირ სხვაგვარად არ შეთანხმდებიან. ტუროპერატორორმა და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურმა კომპანიამ წინასახელშეკრულებო ინფორმაციაში შესული ყველა ცვლილების შესახებ უნდა აუწყოს ტურისტს გარკვევით, ამომწურავად და თვალსაჩინოდ საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების დადებამდე.. | | | ტურისტს მკაფიო და გასაგები ფორმით აცნობოს წინასახელშეკრულებო ინფორმაციაში შესული ნებისმიერი ცვლილების შესახებ. | | |
| 6.2. | თუ ტუროპერატორორი და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური კომპანია არ აკმაყოფილებს საინფორმაციო მოთხოვნებს დამატებითი მოსაკრებლების, დანახარჯებისა და სხვა ხარჯების შესახებ, რომლებიც მითითებულია მუხლის 5(1) პირველი აბზაცის (c) ქვეპუნქტში, საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების დადებამდე, ტურისტს არ დაეკისრება აღნიშნული მოსაკრებლების, დანახარჯების ან სხვა ხარჯების გადახდის ვალდებულება. | 1 | 14.2 | 2. თუ ტუროპერატორმა ან/და ტურაგენტმა მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დამატებითი ხარჯის შესახებ ინფორმაცია არ მიაწოდა ტურისტს, მას არ დაეკისრება დამატებითი ხარჯების გადახდის ვალდებულება. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| 7.1. | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებები შედგენილი იყოს მარტივ და გასაგებ ენაზე და, ვინაიდან ისინი შედგენილია წერილობითი ფორმით, იყოს ადვილად წასაკითხი. საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების დადებისას ან დაუყოვნებლივ ამის შემდეგ ტუროპერატორორმა ან ინდივიდუალურმა კომპანიამ ტურისტს ხანგამძლე მატარებელზე უნდა გადასცეს ხელშეკრულების ასლი ან დადასტურების ცნობა. ტურისტი უფლებამოსილია, მოითხოვოს დაბეჭდილი ეგზემპლარი, თუ საგზურით ტურისტობის ხელშეკრულება დაიდო მხარეების ერთდროული ფიზიკური დასწრებით.<br><br>რაც შეეხება ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებს, როგორც ეს | 1 | 15.1 | 1. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება უნდა იყოს შედგენილი მკაფიო და გასაგები ფორმით. ხელშეკრულების დადებისთანავე ტუროპერატორი ან/და ტურაგენტი ვალდებულია ტურისტს გადასცეს ხელშეკრულების ასლი ან მისი დადების დადასტურება ინფორმაციის ხანგამძლე მატარებელზე. ტურისტს შეუძლია მოითხოვოს დოკუმენტის ასლი მატერიალური ფორმით, თუ ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება დაიდო მხარეთა ფიზიკური თანდასწრებით. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განსაზღვრულია დირექტივის 2011/83/EU მუხლის 2 პუნქტში 8, საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების ასლი ან დადასტურების ცნობა ტურისტს უნდა გადაეცეს ქაღალდზე დაბეჭდილი ფორმით ან, თუ ტურისტი თანახმაა, სხვა ხანგამძლე მატარებლის გამოყენებით. | | | | | |
| 7.2. | საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებაში ან ხელშეკრულების დადასტურების ცნობაში უნდა შევიდეს ხელშეკრულების სრული შინაარსი, რომელიც უნდა მოიცავდეს მუხლის 5(1) პირველი აბზაცის (a) - (h) ქვეპუნქტებში მითითებულ ყველა ინფორმაციას, ასევე შემდეგ ინფორმაციას:<br><br>(a) ტურისტის სპეციალური მოთხოვნები, რომლებიც მიიღო ტუროპერატოროორმა;<br><br>(b) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტუროპერატოროორი:<br><br>(i) პასუხისმგებელია ყველა ტურისტული მომსახურების სათანადო შესრულებაზე, მათ შორის, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მომსახურებებისა, მუხლის 13 შესაბამისად; | 1 | 15.2. | 2. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს:<br>ა) ინფორმაციას ტურისტის სპეციალური მოთხოვნების შესახებ, რომელსაც დაეთანხმა ტუროპერატორი;<br>ბ) ინფორმაციას, რომ ტუროპერატორი:<br>ბ.ა) პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ტურისტული მომსახურების სათანადო შესრულებაზე ამ კანონის მე-21 მუხლის შესაბამისად;<br>ბ.ბ) სირთულეების წარმოქმნისას ვალდებულია უზრუნველყოს ტურისტის დახმარება ამ კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად.<br>გ) უზრუნველყოფის გამცემის საფირმო სახელსა და მის საკონტაქტო მონაცემებს. ასევე სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონტაქტო მონაცემებს | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (ii) ვალდებულია, მუხლის 16 შესაბამისად, დახმარება გაუწიოს ტურისტს, თუ მას შეექმნება სირთულეები;<br><br>(c) გადახდისუუნარობისგან დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება მისი საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის, მისი გეოგრაფიული მისამართი და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ ამ მიზნით დანიშნული კომპეტენტური ორგანოს დასახელება და მისი საკონტაქტო ინფორმაცია;<br><br>(d) ტუროპერატორორის ადგილობრივი წარმომადგენლის, საკონტაქტო პირის ან სხვა სამსახურის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და, საჭიროების შემთხვევაში, ფაქსის ნომერი, რომლის საშუალებითაც ტურისტს შეუძლია ტუროპერატორორთან სწრაფად დაკავშირება და ეფექტური კომუნიკაცია, დახმარების თხოვნა სირთულეების შექმნისას ან პაკეტის შესრულებისას აღმოჩენილი რაიმე შეუსაბამობის შესახებ პრეტენზიის გამოხატვა;<br><br>(e) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტურისტს მოეთხოვება, პაკეტის შესრულებისას | | | (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი).<br>დ) ტუროპერატორის ადგილობრივი წარმომადგენლის, საკონტაქტო პირის ან იმ სხვა სამსახურის სახელს, მისამართს, ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართსა და შესაბამის შემთხვევაში, ფაქსის ნომერს, რომელიც ტურისტს მისცემს ტუროპერატორთან სწრაფად დაკავშირების და მასთან ეფექტიანი კომუნიკაციის შესაძლებლობას, იმ მიზნით, რომ სირთულეების არსებობისას ტურისტს შეეძლოს დახმარების მოთხოვნა ან საჩივრის წარდგენა, როდესაც პაკეტის პირობები სათანადოდ არ სრულდება.<br>ე) ინფორმაციას, რომ ტურისტი ვალდებულია ტუროპერატორს დაუყონებლივ აცნობოს პაკეტის პირობების ნებისმიერი დარღვევის შესახებ;<br>ვ) არასრულწლოვნის ტურისტობის შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს არ ახლავს მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი და პაკეტი მოიცავს განთავსებას, კავშირს არასრულწლოვანთან ან განთავსების ადგილას მყოფ არასრულწლოვანზე პასუხისმგებელ პირთან;<br>თ) ინფორმაციას საჩივრის განხილვის შიდა პროცედურებისა და მომხმარებელთა დავების | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | აღმოჩენილი ნებისმიერი შეუსაბამობის შესახებ შეატყობინოს მუხლის 13(2) შესაბამისად;<br><br>(f) იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი, რომელსაც არ ახლავს მშობელი ან სხვა უფლებამოსილი პირი, ტურისტობს საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებლით უზრუნველყოფას, ინფორმაცია, რომელიც არასრულწლოვნის გაჩერების ადგილას არასრულწლოვანთან ან არასრულწლოვანზე პასუხისმგებელ პირთან პირდაპირი კავშირის შესაძლებლობას იძლევა;<br><br>(g) ინფორმაცია საჩივრის მართვის ადგილობრივად ხელმისაწვდომი პროცედურებისა და ალტერნატიული გზით დავის გადაწყვეტის შესახებ („ADR“) ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/11/EU შესაბამისად[18], ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ალტერნატიული გზით დავის გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი ორგანოს შესახებ, რომელშიც გაერთიანებულია მოვაჭრე და დავის გადაწყვეტის ონლაინ პლატფორმის | | | გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის შესახებ;<br>ი) ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ტურისტს უფლება აქვს პაკეტი გადასცეს მესამე პირს მე-18 მუხლის შესაბამისად; | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) No 524/2013 შესაბამისად[19];<br><br>(h) ინფორმაცია ტურისტის მიერ ხელშეკრულების სხვა ტურისტისთვის გადაცემის უფლების შესახებ მუხლის 9 შესაბამისად. | | | | | |
| 7.3. | რაც შეეხება მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის (b)(v) ქვეპუნქტში განსაზღვრულ პაკეტებს, მოვაჭრემ, რომელსაც გადაეგზავნება მონაცემები, ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ტუროპერატორორს ხელშეკრულების დადების შესახებ, რომლითაც იქმნება პაკეტი. მოვაჭრემ ტუროპერატორორს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც საჭიროა მისი, როგორც ტუროპერატორორის ვალდებულებების შესასრულებლად.<br><br>როგორც კი ტუროპერატორორი მიიღებს ინფორმაციას, რომ შეიქმნა პაკეტი, ტუროპერატორორმა ტურისტს ხანგამძლე მატარებელზე უნდა მიაწოდოს მე-2 აბზაცის (a) - (h) ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაცია. | 1 | 15.3. | 3. ამ კანონის მე-2 მუხლის „ც.ბ.ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში მოვაჭრე, რომელსაც გადაეცემა ტურისტის მონაცემები, ვალდებულია ტუროპერატორს აცნობოს, რომ მან დადო ხელშეკრულება ტურისტთან, რითაც შეიქმნა ტურისტული პაკეტი. მოვაჭრე ვალდებულია სრულად წარუდგინოს ტუროპერატორს ის ინფორმაცია, რომელიც ტუროპერატორისთვის აუცილებელია მისი ვალდებულების შესასრულებლად. ტუროპერატორის მიერ პაკეტის შექმნის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე იგი ტურისტს აწვდის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა-ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შესაბამის ინფორმაციას წერილობით. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7.4. | მე-2 და მე-3 აბზაცებში მითითებული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს გარკვევით, ამომწურავად და თვალსაჩინოდ. | 1 | 15.4. | 4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალიწინებული ინფორმაცია ტურისტს უნდა მიეწოდოს მკაფიო და გასაგები ფორმით. | სშ | |
| 7.5. | ტუროპერატორორმა დროულად, პაკეტის დაწყებამდე უნდა მიაწოდოს ტურისტს ყველა საჭირო ქვითარი, ვაუჩერი და ბილეთი, ინფორმაცია გამგზავრების დაგეგმილი დროისა და, საჭიროების შემთხვევაში, რეგისტრაციის ბოლო ვადის შესახებ, აგრეთვე, შუალედური გაჩერებების, დამაკავშირებელი სატრანსპორტო ხაზებისა და ჩასვლის დაგეგმილი დროის შესახებ. | 1 | 15.5. | 5. პაკეტის ამოქმედებამდე გონივრულ ვადებში, ტუროპერატორმა ტურისტი უნდა უზრუნველყოს ბილეთებით, ჯავშნის დამადასტურებელი და სხვა შესაბამისი დოკუმენტებით, ასევე გამგზავრების განრიგის, ფრენაზე რეგისტრაციის ბოლო ვადის, მგზავრობისას შუალედური გაჩერებების განრიგის, დამაკავშირებელი ტრანსპორტის და ჩასვლის მიახლოებითი დროის შესახებ ინფორმაციით. | სშ | |
| 8 | ამ თავში მოცემული, საინფორმაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვაჭრეს. | 1 | 16 | ტურისტისთვის ამ კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვაჭრეს. | სშ | |
| 9.1. | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტურისტს, ტუროპერატორორისთვის ხანგამძლე მატარებელზე გონივრულ ვადაში შეტყობინების მიწოდების შემდეგ, შეეძლოს საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების | 1 | 17.1. | 1.ტურისტს შეუძლია პაკეტის ამოქმედებამდე ტუროპერატორისთვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ტურისტული პაკეტი გადასცეს იმ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს. ტურისტი ვალდებულია მინიმუმ შვიდი | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გადაცემა პირისთვის, რომელიც აკმაყოფილებს აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ყველა პირობას. პაკეტის დაწყებამდე მინიმუმ შვიდი დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინება მიიჩნევა გონივრულ ვადაში გაგზავნილ შეტყობინებად. | | | კალენდარული დღით ადრე, წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია ტუროპერატორს მესამე პირისათვის პაკეტის გადაცემის შესახებ. | | |
| 9.2. | საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების გადამცემსა და მიმღებს ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა ნაშთის გადახდაზე და ნებისმიერ დამატებით საფასურზე, დანახარჯზე ან გადაცემით გამოწვეულ სხვა ხარჯებზე. ტუროპერატორორმა გადამცემს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გადაცემის რეალური ხარჯების შესახებ. აღნიშნული ხარჯები არ უნდა იყოს არაზომიერი და არ უნდა აღემატებოდეს ტუროპერატორორის მიერ საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების გადაცემისთვის დადგენილ რეალურ ღირებულებას. | 1 | 17.2 | 2.ტუროპერატორს შეუძლია მოითხოვოს იმ დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რაც ტურისტობაში მესამე პირის მონაწილეობამ გამოიწვია. ტუროპერატორი ვალდებულია შეატყობინოს ტურისტს მის ნაცვლად ტურისტობაში მესამე პირის მონაწილეობის (გადაცემის) საფასური. გადამცემი და მიმღები პირები ერთობლივად და ცალ-ცალკე პასუხისმგებელნი არიან მის გადახდაზე. აღნიშნული ხარჯები არ უნდა იყოს არათანაზომიერი და არ უნდა აღემატებოდეს ტუროპერატორის მიერ პაკეტით ხელშეკრულების გადაცემისთვის დადგენილ რეალურ ღირებულებას. | სშ | |
| 9.3. | ტუროპერატორორმა გადამცემს უნდა მიაწოდოს დამატებითი საფასურის, დანახარჯების ან გადაცემით გამოწვეული სხვა ხარჯების დამადასტურებელი საბუთი. | 1 | 17.3 | 3.ტუროპერატორი ვალდებულია ტურისტული პაკეტის გადამცემს მიაწოდოს დამატებითი საფასურის, დანახარჯების და გადაცემით გამოწვეული სხვა ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10.1. | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების დადების შემდეგ ფასები შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება პირდაპირ ითვალისწინებს ამის შესაძლებლობას და მიუთითებს, რომ ტურისტს აქვს ფასის შემცირების უფლება მე-4 აბზაცის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებაში განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა გამოითვალოს ფასის ცვლილებები. ფასების ზრდა შესაძლებელია იყოს მხოლოდ და მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების პირდაპირი შედეგი:<br><br>(a) მგზავრების გადაყვანის ფასი, რომელიც გამომდინარეობს საწვავის ან ენერგიის სხვა წყაროს ღირებულებიდან;<br><br>(b) ტურისტული მომსახურებებისთვის დაწესებული გადასახადების ან მოსაკრებლების დონე, რომელიც შესულია ხელშეკრულებაში და დაწესებულია მესამე მხარეების მიერ, რომლებიც არ არიან უშუალოდ ჩართულნი პაკეტის შესრულებაში, მათ შორის, ტურისტული გადასახადები, თვითმფრინავის დაშვების | 1 | 18.1.<br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br>18.2. | 1. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ტუროპერატორის მიერ პაკეტის ღირებულების გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში პირდაპირაა მითითებული:<br><br>ა) ტუროპერატორის მიერ პაკეტის ღირებულების ფასის გაზრდის შესახებ და დადგენილია ფასის შეცვლის და გამოთვლის წესი;<br>ბ) ტურისტის უფლების შესახებ მოითხოვოს ფასის შემცირება მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების წარმოშობისას.<br><br>2. ფასის გაზრდა შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:<br>ა) ტურისტის გადაყვანის ღირებულება გაიზარდა საწვავის ან სხვა ენერგიის წყაროების ფასის გაზრდის გამო;<br>ბ) გაიზარდა კონკრეტული სატრანსპორტო და გადაზიდვის მომსახურების, ასევე, ტურისტის, საჰაერო ხომალდის დაშვების, ტურისტთა ჩასხდომა-გადასხდომის, პორტებსა და აეროპორტებში ტვირთის გადატანა-გადაზიდვის გადასახადები;<br>გ) გაიზარდა პაკეტში გათვალისწინებული სავალუტო გაცვლითი კურსის ოდენობა. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გადასახადები აეროპორტებში ან გემზე ჩასხდომის, ან გემიდან გადმოსხდომის გადასახადები პორტებში; ან<br><br>(c) პაკეტის შესაბამისი გაცვლითი კურსი. | | | | | |
| 10.2. | თუ ამ მუხლის 1-ელ აბზაცში მითითებული ფასის ზრდა აღემატება პაკეტის საერთო ფასის 8%-ს, გამოიყენება მუხლი 11(2)-დან (5)მდე. | 1 | 18.3 | 3. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გარემოებების გამო ტურისტული პაკეტის ღირებულების ზრდა 8%-ზე მეტია, გამოიყენება ამ კანონის 19-ე მუხლის მე-2 - მე-6 ნაწილების მოთხოვნები. | სშ | |
| 10.3. | მიუხედავად მასშტაბისა, ფასის ზრდა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტუროპერატორორი ტურისტს ხანგამძლე მატარებელზე გაუგზავნის მკაფიო და ამომწურავ შეტყობინებას ამის შესახებ, აღნიშნული ზრდის მიზეზებთან და გაანგარიშებასთან ერთად, პაკეტის დაწყებამდე მინიმუმ 20 დღით ადრე. | 1 | 18.4 | 4. ფასის გაზრდა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ტუროპერატორი პაკეტის დაწყებამდე მინიმუმ 20 დღით ადრე შეატყობინებს ტურისტს ფასის გაზრდის შესახებ, წერილობითი ფორმით. აღნიშნული შეტყობინება უნდა მოიცავდეს შესაბამის დასაბუთებას და ახალი ფასის კალკულაციას. | სშ | |
| 10.4. | თუ საგზურით ტურისტობის ხელშეკრულება ითვალისწინებს ფასების ზრდის შესაძლებლობას, ტურისტს უნდა ჰქონდეს ფასის შემცირების უფლება 1-ლი აბზაცის (a), (b) და (c) ქვეპუნქტებში მითითებული ღირებულებების რაიმენაირი შემცირების შესაბამისად, რომელსაც | 1 | 18.5 | 5. იმ შემთხვევაში, თუ ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება ითვალისწინებს ღირებულების გაზრდის შესაძლებლობას, ტურისტს ხელშეკრულების დადების შემდეგ უფლება აქვს ამ ვადაში, ასევე მოითხოვოს ფასის შემცირება პაკეტის ამოქმედებამდე, თუ შემცირდა ფასები ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ადგილი აქვს ხელშეკრულების დადების შემდეგ, პაკეტის დაწყებამდე. | | | „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. | | |
| 10.5. | ფასის შემცირების შემთხვევაში ტუროპერატორორს უფლება აქვს, გამოქვითოს რეალური ადმინისტრაციული ხარჯები ტურისტისთვის დასაბრუნებელი თანხიდან. იმ შემთხვევაში, თუ ტურისტი მოითხოვს, ტუროპერატორორმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნული ადმინისტრაციული ხარჯების დამადასტურებელი საბუთი. | 1 | 18.6 | 6. ფასის შემცირების შემთხვევაში, ტუროპერატორს უფლება აქვს ტურისტისთვის დასაბრუნებელი თანხიდან გამოქვითოს ფაქტობრივად გაწეული ადმინისტრაციული ხარჯი. ტურისტის მოთხოვნით, ტუროპერატორმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ადმინისტრაციული ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა. | სშ | |
| 11.1. | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პაკეტის დაწყებამდე ტუროპერატორორს არ ჰქონდეს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების პირობები, გარდა ფასისა, მე-10 მუხლის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც: | 1 | 19.1. | 1. პაკეტის ამოქმედებამდე ტუროპერატორის მიერ ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში, თუ:<br>ა) ტუროპერატორს ხელშეკრულებით მიენიჭა ცალმხრივი ცვლილების უფლება;<br>ბ) ცვლილება არის უმნიშვნელო; და | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (a) ტუროპერატორორს აღნიშნული უფლება გათვალისწინებული აქვს ხელშეკრულებაში;<br><br>(b) ცვლილება უმნიშვნელოა;<br><br>(c) ტუროპერატორორი ცვლილების შესახებ ტურისტს ინფორმაციას უგზავნის გარკვევით, ამომწურავად და თვალსაჩინოდ ხანგამძლე მატარებელზე. | | | გ) ტუროპერატორი აღნიშნული ცვლილების შესახებ შეატყობინებს ტურისტს მკაფიოდ და გასაგებად, წერილობითი ფორმით. | | |
| 11.2. | თუ პაკეტის დაწყებამდე ტუროპერატორორი იძულებულია, მნიშვნელოვნად შეცვალოს მუხლის 5(1) პირველი აბზაცის (a) ქვეპუნქტში მითითებული ტურისტული მომსახურებების რომელიმე მთავარი მახასიათებელი, ან ვერ ასრულებს -მუხლის 7(2) (a) ქვეპუნქტში მითითებულ სპეციალურ მოთხოვნებს, ან იძულებულია, შესთავაზოს 8%-ზე მეტად გაძვირებული პაკეტი, მუხლის 10(2) შესაბამისად, ტურისტს შეუძლია, ტუროპერატორორის მიერ განსაზღრულ გონივრულ ვადაში: | 1 | 19.2. | იმ შემთხვევაში, თუ პაკეტის ამოქმედებამდე ტუროპერატორი იძულებულია მნიშვნელოვნად შეცვალოს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი მახასიათებლები, კერძოდ: ამ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობები ან ვერ ასრულებს იმ სპეციალურ მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ან 20-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით პაკეტის ღირებულებას ზრდის 8%-ზე მეტით, ტურისტს ტუროპერატორის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში უფლება აქვს: | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (a) დათანხმდეს შემოთავაზებულ ცვლილებაზე;<br><br>(b) შეწყვიტოს ხელშეკრულება შეწყვეტის საფასურის გადახდის გარეშე.<br><br>თუ ტურისტი წყვეტს საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებას, მას შეუძლია დასთანხმდეს პაკეტის ჩანაცვლებაზე, შეძლებისდაგვარად ეკვივალენტური ან უფრო მაღალი ხარისხის პაკეტით, თუ ამას სთავაზობს ტუროპერატორორი. | | 19.3. | ა) დაეთანხმოს შემოთავაზებულ ცვლილებებს ან;<br>ბ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხელშეკრულების შეწყვეტის საფასურის გადახდის გარეშე.<br><br>3. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ტურისტი წყვეტს ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულებას, ტუროპერატორს შეუძლია შესთავაზოს იმავე ან უკეთესი ხარისხის ტურისტულ პაკეტი და ტურისტი უფლებამოსილია მიიღოს ეს პაკეტი ან უარი განაცხაოდს შეთავაზებაზე. | | |
| 11.3. | ტუროპერატორორმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს ტურისტს შემდეგი ინფორმაცია ხანგამძლე მატარებელზე გარკვევით, ამომწურავად და თვალსაჩინოდ:<br><br>(a) მე-2 აბზაცში მითითებული და, საჭიროების შემთხვევაში, მე-4 მუხლის შესაბამისად შეთავაზებული ცვლილებები და მათი ზემოქმედება საგზურის ფასზე;<br><br>(b) გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც ტურისტმა | 1 | 19.4 | 4.ტუროპერატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მკაფიოდ და გასაგებად, წერილობითი ფორმით, შეატყობინოს ტურისტს:<br>ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტის და, შესაბამის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ღირებულების ცვლილებისა და ამ ცვლილების ფასზე გავლენის შესახებ ინფორმაცია;<br>ბ) გონივრული ვადის შესახებ, რა ვადაშიც ტურისტი ვალდებულია ტუროპერატორს აცნობოს ამ მუხლის მე-2 ნაწილით | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ტუროპერატორორს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მე-2 აბზაცის შესაბამისად;<br><br>(c) ქვეპუნქტში (b) მითითებული ვადის განმავლობაში ტურისტის მიერ პასუხის გაუცემლობის შედეგები, მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;<br><br>(d) საჭიროების შემთხვევაში, შეთავაზებული სანაცვლო პაკეტი და მისი ფასი. | | | გათვალისწინებული გადაწყვეტილების შესახებ;<br>გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დადგენილ ვადაში ტურისტის მიერ პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ ტურისტი ეთანხმება ცვლილებებს;<br>დ) შესაბამისი გარემოებების არსებობისას, ასევე მიაწოდოს ინფორმაცია შეცვლილ პაკეტის ფასზე. | | |
| 11.4. | როდესაც მე-2 აბზაცის პირველ ქვეაბზაცში მითითებული საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებაში ან მე-2 აბზაცის მეორე ქვეაბზაცში მითითებულ სანაცვლო პაკეტში ცვლილებები იწვევს უფრო დაბალი ხარისხის ან ღირებულების პაკეტით ჩანაცვლებას, ტურისტს აქვს ფასის შესაბამისად შემცირების უფლება. | 1 | 19.5. | 5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადებითა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ტურისტის უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი ფასის შემცირება, თუ შეთავაზებული პაკეტის ახალი პირობები ან ახალი პაკეტის პირობები წინა პაკეტზე დაბალი ხარისხის ან ღირებულებისა. | სშ | |
| 11.5. | თუ საგზურით ტურისტობის ხელშეკრულება წყდება ამ მუხლის მე-2 აბზაცის პირველი ქვეაბზაცის (b) ქვეპუნქტის მიხედვით და ტურისტი არ თანხმდება სანაცვლო პაკეტზე, ტუროპერატორორმა უნდა დააბრუნოს | 1 | 19.6. | 6. თუ ტურისტი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წყვეტს ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულებას და არ ეთანხმება შეცვლილ პაკეტს, ტუროპერატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა, | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ყველა თანხა, რომელიც გადახდილია ტურისტის მიერ ან მისი სახელით დაუყოვნებლივ და ნებისმიერ შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 14 დღისა. გამოიყენება მუხლი 14(2), (3), (4), (5) და (6) შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით. | | | დაუბრუნოს ტურისტს ხელშეკრულების თანახმად გადახდილი თანხა ამ კანონის 22-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად. | | |
| 12.1. | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტურისტს ჰქონდეს უფლება, შეწყვიტოს საგზურით ტურისტობის ხელშეკრულება ნებისმიერ დროს ტურისტული პაკეტის დაწყებამდე. როდესაც ტურისტი წვეტს საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებას ამ პუნქტის მიხედვით, ტურისტს შესაძლოა მოსთხოვონ, რომ მან ტუროპერატორორს გადაუხადოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესაბამისი და გამართლებული მოსაკრებელი. საგზურით ტურისტობის ხელშეკრულება შესაძლებელია განსაზღვრავდეს შეწყვეტის გონივრულ, სტანდარტულ მოსაკრებელს, | 1 | 20.1. | ტურისტს შეუძლია ტურისტულ პაკეტის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტა ნებისმიერ დროს პაკეტის დაწყებამდე. თუ ტურისტი ტურისტულ პაკეტის შესახებ ხელშეკრულებას წყვეტს ამ პუნქტის შესაბამისად, ტურისტი ვალდებულია, ტუროპერატორორს გადაუხადოს სათანადო და დასაბუთებული შეწყვეტის საფასური. ტურისტულ პაკეტის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს შეწყვეტისათვის გონივრულ და სტანდარტულ საფასურს ხელშეკრულების შეწყვეტიდან პაკეტის დაწყებამდე არსებული დროის შესაბამისად. ტურისტის მოთხოვნით ტუროპერატორმა | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ხელშეკრულების შეწყვეტის დროის საფუძველზე, პაკეტის დაწყებამდე და მოსალოდნელი ხარჯების დანაზოგს და შემოსავალს ალტერნატიული ტურისტული მომსახურებების უზრუნველყოფიდან. შეწყვეტის სტანდარტული მოსაკრებლის არარსებობის შემთხვევაში, შეწყვეტის მოსაკრებლის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პაკეტის ფასს ხარჯების დანაზოგისა და ალტერნატიული ტურისტული მომსახურებების უზრუნველყოფის შემოსავლის გამოკლებით. ტურისტის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, ტუროპერატორორმა უნდა დაასაბუთოს შეწყვეტის მოსაკრებლების ოდენობა. | | | უნდა წარადგინოს შეწყვეტის საფასურის დასაბუთება. | | |
| 12.2. | მიუხედავად 1-ლი აბზაცისა, ტურისტს უნდა ჰქონდეს უფლება, შეწყვიტოს საგზურით ტურისტობის ხელშეკრულება პაკეტის დაწყებამდე, შეწყვეტის რაიმე მოსაკრებლის გადახდის გარეშე, დანიშნულების ადგილას ან მის უშუალო სიახლოვეს გარდაუვალი ან განსაკუთრებული გარემოების დადგომისას, რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს პაკეტის შესრულებაზე, ან მნიშვნელოვნად იმოქმედებს დანიშნულების ადგილას | 1 | 20.2. | მიუხედავად, ამ მუხლის პირველი პუნქტისა, ტურისტს აქვს პაკეტის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება მის ამოქმედებამდე შეწყვეტის საფასურის გარეშე გაუთვალისწინებელი გარემოებების არსებობისას, რომელიც წარმოიშობა დანიშნულების ადგილზე ან მის უშუალო სიახლოვეს, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პაკეტის შესრულებაზე ან მგზავრთა გადაყვანაზე. ამ პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მგზავრების გადაყვანაზე. ამ პუნქტის მიხედვით საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ტურისტს უფლება უნდა ჰქონდეს, სრულად დაიბრუნოს პაკეტისთვის გადახდილი ნებისმიერი თანხა, მაგრამ არ უნდა ჰქონდეს უფლება, მიიღოს დამატებითი კომპენსაცია. | | | ტურისტს უფლება აქვს, სრულად აუნაზღაურდეს ნებისმიერი თანხა, რომელიც მან პაკეტის ფარგლებში გადაიხადა, თუმცა მას არ აქვს დამატებითი კომპენსაციის მიღების უფლება. | | |
| 12.3. | ტუროპერატორორს შეუძლია, შეწყვეტოს საგზურით ტურისტობის ხელშეკრულება და ტურისტს სრულად დაუბრუნოს პაკეტისთვის გადახდილი ნებისმიერი თანხა, მაგრამ არ უნდა ჰქონდეს დამატებითი კომპენსაციის გაცემის ვალდებულება, თუ:<br><br>(a) პაკეტისთვის რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა ხელშეკრულებაში განსაზღვრულ მინიმალურ რაოდენობაზე ნაკლებია და ტუროპერატორორი ატყობინებს ტურისტს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებაში მითითებული პერიოდის განმავლობაში, მაგრამ : | 1 | 20.3. | ტუროპერატორი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თანხა სრულად დაუბრუნოს ტურისტს, მაგრამ არ დაეკისრება დამატებითი კომპენსაციის გადახდა, თუ:<br>ა) ტურისტული მომსახურების გასაწევად ტურისტთა რაოდენობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მინიმალურ პირთა რაოდენობაზე ნაკლებია და ტუროპერატორი ტურისტს აცნობებს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს:<br>ა.ა) პაკეტის დაწყებამდე 20 დღისა, იმ შემთხვევაში როდესაც ტურისტობის ვადა 6 დღეზე მეტია;<br>ა.ბ) პაკეტის დაწყებამდე 7 დღისა, როდესაც ტურისტობის ვადა 2-დან 6-დღემდეა;<br>ა.გ) პაკეტის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა, როდესაც ტურისტობის ვადა 2 დღეზე ნაკლებია; ან | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (i) პაკეტის დაწყებამდე მინიმუმ 20 დღით ადრე იმ შემთხვევაში, თუ ტურისტობა გრძელდება ექვს დღეზე მეტი ხნით;<br><br>(ii) პაკეტის დაწყებამდე მინიმუმ შვიდი დღით ადრე იმ შემთხვევაში, თუ ტურისტობა გრძელდება ორიდან ექვს დღემდე;<br><br>(iii) პაკეტის დაწყებამდე მინიმუმ 48 საათით ადრე იმ შემთხვევაში, თუ ტურისტობა გრძელდება ორ დღეზე ნაკლები ხნით; ან˜<br><br>(b) გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებების გამო ტუროპერატორორი ვერ ასრულებს ხელშეკრულებას და ის დაუყოვნებლივ ატყობინებს ტურისტს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ პაკეტის დაწყებამდე. | | | ბ) ტუროპერატორი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მისგან დამოუკიდებლად, გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებების გამო და ტურისტს შეატყობინებს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ პაკეტის ამოქმედებამდე. | | |
| 12.4. | ტუროპერატორომა უნდა დააბრუნოს მე-2 და მე-3 აბზაცებით გათვალისწინებული თანხები, ან, 1-ლი აბზაცის შესაბამისად, აანაზღაუროს ნებისმიერი თანხა, რომელიც ტურისტის ან მისი სახელით გადახდილია პაკეტში, შეწყვეტის შესაბამისი მოსაკრებლის გამოკლებით. ტურისტს | 1 | 20.4. | 4. ტუროპერატორი ვალდებულია ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული თანხა უკან დაუბრუნოს ტურისტს ან, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აანაზღაუროს ტურისტის ან მისი სახელით მოქმედი პირის მიერ ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულების შეწყვეტასთან | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თანხები უნდა დაუბრუნდეს ან აუნაზღაურდეს დაუყოვნებლივ და, ნებისმიერ შემთხვევაში, საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 14 დღისა. | | | დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი, ხელშეკრულების შეწყვეტის საფასურის გამოკლებით. აღნიშნული თანხები უნდა დაუბრუნდეს ტურისტს დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს პაკეტის ხელშეკრულების შეწყვეტიდან 14 დღისა. | | |
| 12.5. | რაც შეეხება სარეწ დადებულ ხელშეკრულებებს, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ, რომ ტურისტს ჰქონდეს უფლება, გამოვიდეს საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებიდან 14 დღის განმავლობაში რაიმე მიზეზის მითითების გარეშე. | 1 | 20.5. | 5. ტურისტი უფლებამოსილია ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას სარეწის გარეთ დადებულ ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულებაზე, მისი დადებიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში. | სშ | |
| 13.1. | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტუროპერატორორი პასუხისმგებელი იყოს ტურისტული მომსახურებების შესრულებაზე, მათ შორის, საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებაში შესულ მომსახურებებზე, მიუხედავად იმისა, ეს მომსახურებები სრულდება ტუროპერატორორის თუ ტურისტული მომსახურების სხვა მიმწოდებლების მიერ.<br><br>წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში დატოვონ ან ჩაამატონ დებულებები, რომელთა | 1 | 21.1. | 1.ტუროპერატორი პასუხისმგებელია ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე მიუხედავად იმისა მომსახურება გაწეულია უშუალოდ მისი თუ სხვა ტურისტული მომსახურების გამწევი პირის მიერ. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მიხედვითაც ინდივიდუალური კომპანია ასევე იქნება პასუხისმგებელი პაკეტის შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში, მე-7 მუხლის და III თავის, ამ თავისა და V თავის დებულებები, რომლებიც ეხება ტუროპერატორორს, ასევე შეეხება ინდივიდუალურ კომპანიას შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით. | | | | | |
| 13.2. | ტურისტმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ტუროპერატორორს, შემთხვევის გარემოებების გათვალისწინებით, ნებისმიერი შეუსაბამობის შესახებ, რომელსაც ის აწყდება საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ტურისტული მომსახურების შესრულებისას. | 1 | 21.2. | ტურისტი, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ტუროპერატორს ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას აღმოჩენილი რაიმე ხარვეზის შესახებ. | სშ | |
| 13.3. | თუ რომელიმე ტურისტული მომსახურება არ სრულდება საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების შესაბამისად, ტუროპერატორორმა უნდა გამოასწოროს შეუსაბამობა, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა ეს:<br><br>(a) შეუძლებელია; ან | 1 | 21.3. | თუ, რომელიმე ტურისტული მომსახურება არ შესრულდა ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულების შესაბამისად, ტუროპერატორი ვალდებულია გამოასწოროს შეუსაბამობა, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც:<br><br>ა) მისი აღმოფხვრა შეუძლებელია, ან; | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (b) იწვევს არათანაზომიერ ხარჯებს, შეუსაბამობის ხარისხისა და იმ ტურისტული მომსახურებების ღირებულების გათვალისწინებით, რომელთაც ადგება ზიანი.<br><br>თუ ტუროპერატორორი არ გამოასწორებს შეუსაბამობას ამ აბზაცის პირველი ქვეაბზაცის (a) ქვეპუნქტის ან (b) ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს მე-14 მუხლი.ხარჯებს, ვრცელდება მე-14 მუხლი. | | 21.4 | ბ) აღმოფხვრა მოითხოვს არაპროპორციულად დიდ ხარჯებს, შეუსაბამობის ფარგლებისა და ტურისტული მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით.<br><br>თუ, ტუროპერატორი ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზეზით არ აღმოფხვრის შეუსაბამობას, გამოიყენება ამ კანონის 22-ე მუხლი. | | |
| 13.4. | მე-3 აბზაცში მოცემული გამონაკლისებისთვის ზიანის მიუყენებლად, თუ ტუროპერატორორი არ გამოასწორებს შეუსაბამობას ტურისტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, ტურისტს შეუძლია ამის თავად გაკეთება და საჭირო დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნა. ტურისტს არ დასჭირდება ვადის განსაზღვრა, თუ ტუროპერატორორი უარს აცხადებს შეუსაბამობის გამოსწორებაზე, ან, | 1 | 21.5 | 5. თუ ტუროპერატორი არ აღმოფხვრის ხარვეზს ტურისტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაშინ ტურისტს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ხარვეზი და მოითხოვოს მათზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი, თუ ტუროპერატორი უარს იტყვის ხარვეზის აღმოფხვრაზე, ან თუ ტურისტი დაინტერესებულია ხარვეზის დაუყოვნებელი აღმოფხვრით. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თუ გამოსწორება აუცილებელია დაუყოვნებლივ. | | | | | |
| 13.5. | როდესაც ტურისტული მომსახურებების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულება შეუძლებელია იმგვარად, როგორც ეს შეთანხმებულია საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებაში, ტუროპერატორორმა, დამატებითი ხარჯის გარეშე, ტურისტს უნდა შესთავაზოს შესაფერისი ალტერნატიული მომსახურებები, რომლებიც, შეძლებისდაგვარად, ხელშეკრულებაში გათვალისწინებულის ეკვივალენტური ან უფრო მაღალი ხარისხისაა, რათა გაგრძელდეს პაკეტი, მათ შორის, როდესაც ტურისტის დაბრუნება გამგზავრების ადგილას არაა უზრუნველყოფილი ისე, როგორც შეთანხმებული იყო.<br><br>როდესაც ალტერნატიული მომსახურებების შეთავაზებისას ვიღებთ უფრო დაბალი ხარისხის პაკეტს, ვიდრე განსაზღვრული იყო საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებაში, ტუროპერატორორმა | 1 | 21. 6<br><br>21.7. | 6. თუ ტურისტული მომსახურებების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის გამგზავრების ადგილზე დაბრუნების მომსახურება, ვერ სრულდება ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების შესაბამისად, პაკეტის გაგრძელების მიზნით ტუროპერატორმა დამატებითი საფასურის გარეშე უნდა შესთავაზოს ტურისტს ხელშეკრულებით გათვალისწინებულის მსგავსი ან უფრო მაღალი ხარისხის ალტერნატიული მომსახურებები.<br><br>7. როდესაც ალტერნატიული მომსახურებების სახით ხდება უფრო დაბალი ხარისხის პაკეტის შეთავაზება, ორგანიზატორი ვალდებულია ტურისტს შეუმციროს ფასი შესაბამისად. ტურისტმა შეიძლება უარი თქვას შეთავაზებულ ალტერნატიულ | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ტურისტს უნდა შესთავაზოს შესაბამისად შემცირებული ფასი.<br><br>ტურისტს შეუძლია, უარი თქვას შეთავაზებულ ალტერნატიულ მომსახურებებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ჰგავს საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებაში შეთანხმებულ მომსახურებებს ან შეთავაზებული შემცირებული ფასი არ არის ადეკვატური. | | | მომსახურებებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არსებითად განსხვავებულია ტურისტულ პაკეტის შესახებ ხელშეკრულებით შეთანხმებულ მომსახურებისაგან ან მომსახურებისათვის შემცირებული ფასი არაადეკვატურია. | | |
| 13.6. | როდესაც შეუსაბამობა მნიშვნელოვნად მოქმედებს პაკეტის შესრულებაზე და ტუროპერატორორი ვერ ახერხებს მის გამოსწორებას ტურისტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, ტურისტს შეუძლია საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის მოსაკრების გადახდის გარეშე და, საჭიროების შემთხვევაში, ფასის შემცირების ან/და კომპენსაციის გადახდის მოთხოვნა მე-14 მუხლის შესაბამისად. | 1 | 21.8 | 8. როდესაც ხარვეზი არსებით ზეგავლენას ახდენს პაკეტის შესრულებაზე და ტუროპერატორი ვერ ასწორებს ხარვეზებს ტურისტის მიერ დაწესებულ გონივრულ ვადაში, ტურისტმა შეიძლება შეწყვიტოს ტურისტულ პაკეტის შესახებ ხელშეკრულება შეწყვეტის საფასურის გადახდის გარეშე და შესაბამის შემთხვევაში, მოითხოვოს ფასის შემცირება ან/და ზიანის ანაზღაურება ამ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თუ შეუძლებელია ალტერნატიული მომსახურებების შეთავაზება ან ტურისტი უარს ამბობს შეთავაზებულ ალტერნატიულ მომსახურებებზე ამ მუხლის მე-5 აბზაცის მესამე ქვეაბზაცის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ტურისტი უფლებამოსილია, მოითხოვოს ფასის შემცირება ან/და კომპენსაცია მე-14 მუხლის შესაბამისად, საგზურით ტურისტობის ხელშეკრულების შეწყვეტის გარეშე.<br><br>თუ პაკეტში შედის მგზავრების გადაყვანა, ტუროპერატორორმა პირველ და მეორე ქვეპუნქტებში მითითებულ შემთხვევებში ასევე უნდა უზრუნველყოს ტურისტის რეპატრიაცია შესაბამისი ტრანსპორტით დაუყოვნებლივ და ტურისტისთვის დამატებითი ხარჯის გარეშე. | | 21.9<br><br>21.10 | 9. თუ ალტერნატიული მომსახურებების განხორციელება შეუძლებელია ან ტურისტი უარს ამბობს შემოთავაზებულ ალტერნატიულ მომსახურებებზე, ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ტურისტი უფლებამოსილია მიიღოს ფასის შემცირება ან/და ზიანის კომპენსაცია ხელშეკრულების შეწყვეტის გარეშე ამ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად.<br><br>10. თუ პაკეტი ითვალისწინებს მგზავრთა გადაყვანას, ტუროპერატორმა ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასევე უნდა განახორციელოს ტურისტის რეპატრიაცია, შესაბამისი ტრანსპორტით დაუყოვნებლივ და ტურისტისათვის დამატებითი ხარჯის დაკისრების გარეშე. | | |
| 13.7. | ვიდრე, გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებების გამო, შეუძლებელია ტურისტის დაბრუნება ისე, როგორც შეთანხმებულია საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებაში, ტუროპერატორორმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად საჭირო ხარჯი (თუ შესაძლებელია, იმავე კატეგორიის) არა უმეტეს სამი ღამისა თითოეულ ტურისტზე. | 1 | 21.11. | 11. თუ გაუთვალისწინებელი და საგანგებო გარემოებების გამო ტურისტის დაბრუნების უზრუნველყოფა ტურისტულ პაკეტით გათვალისწინებული შეთანხმების შესაბამისად შეუძლებელია, ტუროპერატორს ეკისრება, ეკვივალენტური კატეგორიის (თუ ეს შესაძლებელია) განთავსების საშუალების ხარჯები, მაქსიმუმ სამი ღამე თითოეულ ტურისტზე. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თუ ტურისტის დასაბრუნებლად გამოყენებულ შესაბამის სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებულ ევროკავშირის კანონმდებლობაში მგზავრთა უფლებების შესახებ უფრო გრძელი პერიოდებია გათვალისწინებული, გამოიყენება უფრო გრძელი პერიოდები. | | | | | |
| 13.8. | ამ მუხლის მე-7 აბზაცში მითითებული ხარჯების შეზღუდვა არ ეხებათ გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირებს, როგორც ეს განსაზღვრულია რეგულაციის (EC) No 1107/2006 მე-2 მუხლის (a) ქვეპუნქტში და მათ თანმხლებ რომელმე პირს, ორსულ ქალებს და თანმხლების გარეშე ტურისტ არასრულწლოვნებს, აგრეთვე პირებს, რომელთაც ესაჭიროებათ სპეციალური სამედიცინო დახმარება, თუ ტუროპერატორორი ინფორმირებული იყო მათი განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ საგზურის დაწყებამდე სულ მცირე 48 საათით ადრე. ტუროპერატორორს არ აქვს უფლება, გამოიყენოს გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებები მე-7 მუხლში განსაზღვრული პასუხისმგებლობის შესაზღუდად, თუ ტრანსპორტის უზრუნველმყოფ შესაბამის პირს არ შეუძლია ამ გარემოებებზე | 1 | 21.12 | 12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების შეზღუდვა არ ვრცელდება გადაადგილების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე და მათ თანმხლებ ნებისმიერ პირზე, ორსულ ქალზე და მცირეწლოვანზე თანმხლები პირის გარეშე, ასევე სპეციფიკური სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირებზე, თუ ორგანიზატორს ეცნობა მათი განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ არაუგვიანეს 48 საათისა პაკეტის დაწყებამდე. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დაყრდნობა ევროკავშირის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | | | | | |
| 14.1. | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტურისტს ჰქონდეს ფასის შემცირების უფლება ნებისმიერი პერიოდისთვის, როდესაც არსებობდა შეუსაბამობა, თუ ტუროპერატორორი არ დაამტკიცებს, რომ შეუსაბამობა გამოწვეულია ტურისტის მიზეზით. | 1 | 22.1 | 1. ტურისტი უფლებამოსილია, მოითხოვოს ფასის შემცირება იმ პერიოდის პროპორციულად, რომლის განმავლობაშიც არსებობდა შეუსაბამობა, თუ იგი გამოწვეული არ არის ტურისტის ბრალით. | სშ | |
| 14.2. | ტურისტს უნდა ჰქონდეს უფლება, ტუროპერატორორისგან მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია ნებისმიერი ზიანისთვის, რომელიც ტურისტს ადგება შეუსაბამობის შედეგად. ზიანი უნდა ანაზღაურდეს დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე. | 1 | 22.2 | 2. ტურისტს აქვს უფლება ტუროპერატორისაგან მიიღოს სათანადო კომპენსაცია ნებისმიერი იმ ზიანისათვის, რომელიც მან განიცადა გასაწევი მომსახურების შეუსაბამობის გამო. კომპენსაცია უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 14.3. | ტურისტს არ უნდა ჰქონდეს კომპენსაციის მიღების უფლება, თუ ტუროპერატორორი დაამტკიცებს, რომ შეუსაბამობა:<br><br>(a) გამოწვეულია ტურისტის მიზეზით;<br><br>(b) გამოწვეულია მესამე მხარის მიზეზით, რომელიც არ არის დაკავშირებული საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებაში შესული ტურისტული მომსახურებების უზრუნველყოფასთან, ხოლო მისი განჭვრეტა ან თავიდან აცილება შეუძლებელი იყო;<br><br>(c) გამოწვეულია გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებებით. | 1 | 22.3 | 3. ტურისტს არ აქვს კომპენსაციის მიღების უფლება ზიანისთვის, თუ ტუროპერატორი დაადასტურებს, რომ ხარვეზი:<br>ა) გამოწვეული ტურისტის ბრალით;<br>ბ) გამოწვეულია მესამე მხარის ბრალით, რომელიც არ არის დაკავშირებული პაკეტით გათვალისწინებულ ტურისტული მომსახურების გაწევასთან და აღნიშნული ტუროპერატორისთვის გაუთვალისწინებელი იყო ან/და თავიდან აცილება შეუძლებელი;იყო;<br>გ) გამოწვეულია გარდაუვალი და საგანგებო გარემოებებით. | სშ | |
| 14.4. | რამდენადაც ევროკავშირისთვის სავალდებულო საერთაშორისო კონვენციები ზღუდავს პაკეტში შემავალი ტურისტული მომსახურების მიმწოდებლის გადასახდელი კომპენსაციის მოცულობას ან გადახდის პირობებს, იგივე შეზღუდვები უნდა შეეხოს ტუროპერატორორსაც. რამდენადაც საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც არაა სავალდებულო | 1 | 22.4 | 4. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებით ტუროპერატორს ტურისტისთვის მიყენებული ზიანის გამო პასუხიმგებლობა შეუძლია შეიზღუდოს პაკეტის ფასის სამმაგი ოდენობით. დაუშვებელია პასუხისმგებლობის შეზღუდვის დაწესება, თუ ზიანმა გამოიწვია ფიზიკური დაზიანება და დაზიანება გამოწვეულია ტუროპერატორის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი მოქმედებით. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ევროკავშირისთვის, ზღუდავს მომსახურების მიმწოდებლის გადასახდელ კომპენსაციას, შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეზღუდონ ტუროპერატორორის გადასახდელი კომპენსაცია. სხვა შემთხვევებში, საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებამ შესაძლებელია შეზღუდოს ტუროპერატორორის გადასახდელი კომპენსაცია, თუ აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება ფიზიკურ ზიანს ან ზარალს, რომელიც გამოწვეულია განზრახ ან გულგრილობის გამო და არ შეადგენს პაკეტის საერთო ღირებულების სამმაგ ოდენობაზე ნაკლებს. | | | | | |
| 14.5. | კომპენსაციის მიღების ნებისმიერი უფლება ან ფასის შემცირება ამ დირექტივის მიხედვით არ უნდა ახდენდეს გავლენას ტურისტთა უფლებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია რეგულაციაში (EC) No 261/2004, რეგულაციაში (EC) No 1371/2007, ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციაში (EC) No 392/2009 რეგულაციაში[20], რეგულაციაში (EU) No 1177/2010 და რეგულაციაში (EU) No 181/2011 და საერთაშორისო კონვენციებში. ტურისტები უფლებამოსილნი არიან, წარადგინონ მოთხოვნები ამ რეგულაციის, აღნიშნული რეგულაციებისა და | 1 | 22.5 | 5. ტურისტის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ან პაკეტის ფასის შემცირება, არ მოქმედებს ტურისტის უფლებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია სპეციალური ნორმატიული აქტებით ან საერთაშორისო კონვენციებით. შესაბამისად, ტურისტებს შეუძლიათ წარადგინონ მოთხოვნები გათვალისწინებული ამ თავით და სპეციალური ნორმატიული აქტებით ან საერთაშორისო კონვენციებით. იმ შემთხვევაში, თუ ტურისტმა მიიღო კომპენსაცია ან მას შეუმცირდა პაკეტის ფასი ამ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების წარდგენის და ასევე სპეციალური ნორმების ან საერთაშორისო კონვენციების | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საერთაშორისო კონვენციების მიხედვით. ამ დირექტივის მიხედვით გადახდილი კომპენსაცია ან განხორციელებული ფასის შემცირება და აღნიშნული რეგულაციებისა და საერთაშორისო კონვენციების მიხედვით გადახდილი კომპენსაცია ან განხორციელებული ფასის შემცირება უნდა ურთიერთგაიქვითოს ზედმეტი კომპენსაციის თავიდან ასაცილებლად. | | | გათვალისწინებული მოთხოვნების წარდგენის შედეგად, გადაჭარბებული კომპენსირების თავიდან აცილების მიზნით, უნდა განხორციელდეს ანაზღაურებების ურთიერთგაქვითვა. | | |
| 14.6. | ამ მუხლის მიხედვით მოთხოვნების წარდგენის ხანდაზმულობის ვადა არ უნდა იყოს ორ წელზე ნაკლები. | 1 | 22.6 | 6. ამ მუხლიდან გამომდინარე წარმოშობილი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადაა 2 წელი. | სშ | |
| 15 | ინდივიდუალური კომპანიის მეშვეობით ტუროპერატორორთან დაკავშირების შესაძლებლობა<br><br>მე-13(1) მუხლის მეორე ქვეპუნქტისთვის ზიანის მიუყენებლად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტურისტს შეეძლოს პაკეტის შესრულებასთან დაკავშირებული შეტყობინებები, მოთხოვნები ან პრეტენზიები უშუალოდ იმ ინდივიდუალურ კომპანიას გაუგზავნოს, რომლის მეშვეობითაც შეიძინა პაკეტი. | 1 | 23 | ტურისტი უფლებამოსილია პაკეტის შესრულებასთან დაკავშირებით, შეტყობინებები, მოთხოვნები და საჩივრები პირდაპირ გაუგზავნოს ტურაგენტს, რომელთანაც მოხდა მათი შეძენა. ტურაგენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს აღნიშნული შეტყობინებები, მოთხოვნები და საჩივრები ტუროპერატორს. ტურაგენტთან გაგზავნილი შეტყობინება ითვლება ტუროპერატორთან გაგზავნილად. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდივიდუალურმა კომპანიამ აღნიშნული შეტყობინებები, მოთხოვნები ან პრეტენზიები უნდა გადაუგზავნოს ტუროპერატორორს დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე.<br><br>ვადებთან ან ხანდაზმულობის ვადებთან შესაბამისობის მიზნით, პირველ ქვეპუნქტში მითითებული შეტყობინებების, მოთხოვნების ან პრეტენზიების მიღება ინდივიდუალურ კომპანიაში მიჩნეული იქნება, როგორც მათი მიღება ტუროპერატორორის მიერ. | | | | | |
| 16 | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტუროპერატორორი, დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე, სათანადო დახმარებას გაუწევს ტურისტს რთულ მდგომარეობაში აღმოჩენისას, მათ შორის, მე-13(7) მუხლში მითითებულ გარემოებებში, კერძოდ:<br><br>(a) მიაწვდის სათანადო ინფორმაციას ჯანდაცვის მომსახურების, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დახმარების და საკონსულო დახმარების შესახებ; | 1 | 24.1 „ა“„ბ“ | 1. ტუროპერატორი ვალდებულია ყოველგვარი დაყოვნების გარეშე დაეხმაროს ტურისტს მოგზაურობის დროს წარმოშობილი სირთულეებისას, მათ შორის 21-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებში:<br><br>ა) მიაწოდოს ტურისტს ინფორმაცია ადგილობრივი ჯანდაცვის მომსახურებების, ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების და საკონსულო დახმარების შესახებ; | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (b) დაეხმარება ტურისტს დისტანციური კომუნიკაციის დამყარებასა და ალტერნატიული ტურისტული მომსახურებების მოძიებაში.<br><br>ამგვარი დახმარებისთვის ტუროპერატორორს უნდა შეეძლოს გონივრული საფასურის დაწესება, თუ სირთულე განზრახაა გამოწვეული ტურისტისგან ან მისი გულგრილობის გამო. საფასური არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ტუროპერატორორის მიერ გაწეულ რეალურ ხარჯებს. | | 24.2 | ბ) დაეხმაროს ტურისტის კომუნიკაციის დამყარებაში და ალტერნატიული ტურისტული მომსახურების მოძებნაში;<br><br>2. თუ საფრთხე ან/და მნიშვნელოვანი დაბრკოლება გამოწვეულია ტურისტის დაუდევრობით ან მისი განზრახი ქმედებით, ტუროპერატორი უფლებამოსილია დახმარების გაწევისათვის მოსთხოვოს ტურისტს შესაბამისი საფასურის გადახდა. აღნიშნული საფასური არ უნდა აღემატებოდეს ტუროპერატორის მიერ ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს. | | |
| 17.1 | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ ტერიტორიაზე დაარსებულმა ტუროპერატორორებმა უზრუნველყონ ტურისტის მიერ ან მისი სახელით გადახდილი ყველა თანხის დაბრუნების გარანტია, ვინაიდან შესაბამისი | 1 | 26.1 | 1. იმ შემთხვევისთვის, როდესაც ტურისტულ პაკეტით გათვალისწინებული მომსახურებები მთლიანად ან ნაწილობრივ ტუროპერატორის გადახდისუუნარობის გამო არ სრულდება, ტუროპერატორს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ფინანსური გარანტია | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მომსახურებების შესრულება არ არის გათვალისწინებული ტუროპერატორორის გადახდისუუნარობისას. თუ მგზავრების გადაყვანა შედის საგზურით ტურისტობის ხელშეკრულებაში, ტუროპერატორორებმა ასევე უნდა უზრუნველყონ ტურისტების რეპატრიაციის გარანტია. შესაძლებელია პაკეტის გაგრძელების შეთავაზება. | | | (უზრუნველყოფა) ტურისტის მიერ წინასწარ გადახდილი თანხის ანაზღაურების მიზნით. თუ პაკეტი მოიცავს ტურისტის გადაყვანას, უზრუნველყოფა ასევე, უნდა ფარავდეს შესაძლო რეპატრიაციის ხარჯებს. თუ ტუროპერატორი არ არის რეგისტრირებული საქართველოში ან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, მან ასევე უნდა წარმოადგინოს უზრუნველყოფა ამ კანონის შესაბამისად. | | |
| | ტუროპერატორორები, რომლებიც არ არიან დაარსებულნი წევრ სახელმწიფოში, ხოლო ყიდიან ან ფასდაკლებით სთავაზობენ პაკეტებს წევრ სახელმწიფოში, ან რომლებიც რაიმე საშუალებით ამგვარ საქმიანობებს ამისამართებენ წევრ სახელმწიფოში, ვალდებული არიან, უზრუნველყონ გარანტია ამ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად. | | 30.3 „ზ“ | **მუხლი 30. ვალდებულების უზრუნველყოფის გამოყენება**<br><br>3. გადაწყვეტილება უზრუნველყოფის გამოყენებაზე მიიღება სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ. უზრუნველყოფის გამოყენებისთვის სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია:<br>ზ) აგროვებს ტურისტების მოთხოვნებს უზრუნველყოფის გამოყენებაზე, ამოწმებს დროულად წარდგენილი მოთხოვნების საფუძვლიანობას, და თუ, შესაძლებელია ტურისტს თავაზობს პაკეტის გაგრძელებას. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 26.1 | 1.იმ შემთხვევისთვის, როდესაც ტურისტულ პაკეტით გათვალისწინებული მომსახურებები მთლიანად ან ნაწილობრივ ტუროპერატორის გადახდისუუნარობის გამო არ სრულდება, ტუროპერატორს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ფინანსური გარანტია (უზრუნველყოფა) ტურისტის მიერ წინასწარ გადახდილი თანხის ანაზღაურების მიზნით. თუ პაკეტი მოიცავს ტურისტის გადაყვანას, უზრუნველყოფა ასევე, უნდა ფარავდეს შესაძლო რეპატრიაციის ხარჯებს. თუ ტუროპერატორი არ არის რეგისტრირებული საქართველოში ან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, მან ასევე უნდა წარმოადგინოს უზრუნველყოფა ამ კანონის შესაბამისად. | | |
| 17.2. | 1-ელ პუნქტში მითითებული გარანტია უნდა იყოს ეფექტური და უნდა მოიცავდეს გონივრულად მოსალოდნელ ხარჯებს. ის უნდა ფარავდეს ტურისტების მიერ ან მათი სახელით პაკეტებისთვის გადახდილი თანხებს, პირველ შენატანებს, საბოლოო გადახდებსა და პაკეტების დასრულებას შორის პერიოდის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აგრეთვე, რეპატრიაციის სავარაუდო ხარჯებს ტუროპერატორორის გადახდისუუნარობის შემთხვევაში. | 1 | 28.1. | 1. ტუროპერატორის მიერ წარმოდგენილი ფულადი უზრუნველყოფა მოიცავს:<br><br>ა) პაკეტის შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნებას, თუ პაკეტი გაუქმდა; ან<br><br>ბ) პაკეტის იმ ნაწილის კომპენსაციის თანხას, რომელი ნაწილიც გაუქმდა;<br><br>გ) თუ, პაკეტი ითვალისწინებს ტურისტის გადაყვანას - ტურისტის რეპატრიაციის ხარჯებს; | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | დ) ტურისტის განთავსების ხარჯებს რეპატრიაციამდე; | | |
| 17.3. | ტუროპერატორორის გადახდისუუნაროზისგან დაცვით ტურისტები უნდა სარგებლობდნენ მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა, გამგზავრების ადგილისა თუ პაკეტის გაყიდვის ადგილისა და მიუხედავად წევრი სახელმწიფოსი, სადაც მდებარეობს გადახდისუუნაროზისგან დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანო. | 1 | 26.2 | 2.ტუროპერატორის უზრუნველყოფით სარგებლობა შეუძლიათ ტურისტებს, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა და გამგზავრების ადგილის ან პაკეტის გაყიდვის ადგილისა. და მიუხედავად იმისა, სად არის უზრუნველყოფის გამცემი ორგანიზაცია განთავსებული. | სშ | |
| 17.4. | როდესაც პაკეტის შესრულებაზე გავლენას ახდენს ტუროპერატორორის გადახდისუუნაროზა, გარანტია ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფასოდ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს რეპატრიაცია და, საჭიროების შემთხვევაში, რეპატრიაციამდე საცხოვრებლის დაფინანსება. | 1 | 26.3 | 3.როდესაც პაკეტის შესრულება ვერ ხერხდება ტუროპერატორის გადახდისუუნაროზის გამო, რეპარტიაცია და, საჭიროების შემთხვევაში, რეპატრიაციამდე ტურისტის განთავსება ხორციელდება უზრუნველყოფის მეშვეობით და უსასყიდლოდ. თუ ტურისტული მომსახურებები არ განხორციელებულა, ანაზღაურება ხორციელდება დაუყოვნებლივ, ტურისტის მოთხოვნით. | სშ | |
| 17.5. | ტურისტული მომსახურებებისთვის, რომლებიც არ შესრულდა, თანხა უნდა დაბრუნდეს დაუსაბუთებელი შეფერხების | 1 | 26.3 | 3.როდესაც პაკეტის შესრულება ვერ ხერხდება ტუროპერატორის გადახდისუუნაროზის გამო, | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გარეშე ტურისტის მხრიდან მოთხოვნის შემდეგ. | | | რეპარტიაცია და, საჭიროების შემთხვევაში, რეპატრიაციამდე ტურისტის განთავსება ხორციელდება უზრუნველყოფის მეშვეობით და უსასყიდლოდ. თუ ტურისტული მომსახურებები არ განხორციელებულა, ანაზღაურება ხორციელდება დაუყოვნებლივ, ტურისტის მოთხოვნით. | | |
| 18.1. | ნებისმიერი სახის გადახდისუუნარობისგან დაცვა, რომელსაც ტუროპერატორორი უზრუნველყოფს ეროვნულ დონეზე გადმოტანილი მე-17 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად წევრ სახელმწიფოში, რომელშიც ის დაარსებულია, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ დამაკმაყოფილებლად. | 1 | | | ას | არ არის კანონმდებლობაში ასასახი. დირექტივის ამ პუნქტის მიზანია, რომ განმარტოს სახელმწიფოებისთვის შემდეგი - თუ რომელიმე წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელს აინტერესებს სხვა წევრი სახელმწიფოში დაარსებული ტუროპერატორის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან შესაბამისობა, საკმარისია რომ ხსენებული |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ტუროპერატორის რეგისტრაციის სახელმწიფო აღიარებდეს ამ ტუროპერატორის უზრუნველყოფის შესაბამისობას და აღარ დაჭირდეს მეორე სახელმწიფოს სხვა დამატებითი საბუთი ამის დასადგენად. |
| 18.2. | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანიშნონ ცენტრალური საკონტაქტო პირი ადმინისტრაციული თანამშრომლობისა და სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში მომუშავე ტუროპერატორორების ზედამხედველობის ხელშესაწყობად. მათ აღნიშნული საკონტაქტო პირების საკონტაქტო ინფორმაცია უნდა აცნობონ სხვა წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას. | 1 | 28.4 | 4. ტუროპერატორის გადახდისუუნარობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლის მიზნით ცენტრალური საკონტაქტო ორგანოა სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. | სშ | |
| 18.3. | ცენტრალურმა საკონტაქტო პირებმა ერთმანეთისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადონ ყველა საჭირო ინფორმაცია გადახდისუუნარობისგან დაცვის მათი ეროვნული მოთხოვნების შესახებ და გადახდისუუნარობისგან დაცვაზე პასუხისმგებელი სუბიექტის ან | 1 | 15. 6 | 6. ტუროპერატორი ვალდებულია ტურისტს გადასცეს დაზღვევის ან საბანკო გარანტიის სერტიფიკატი, რომლის მიხედვითაც სადაზღვევო კომპანია ან ფინანსური ინსტიტუტი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ტურისტს თანხა პაკეტის მთლიანად ან ნაწილობრივ | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სუბიექტების ვინაობა კონკრეტული ტუროპერატორორებისთვის, რომლებიც დაარსებული არიან მათ ტერიტორიაზე. აღნიშნულმა საკონტაქტო პირებმა ერთმანეთისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადონ ნებისმიერი რეესტი, რომელშიც შეტანილია იმ ტუროპერატორორების სია, რომლებიც აკმაყოფილებენ გადახდისუუნარობისგან დაცვის ვალდებულებებს. ნებისმიერი ამგვარი რეესტრი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის, მათ შორის, ონლაინ.ნებისმიერი მსგავსი მონაცემები საჯაროდ, მათ შორის, ონლაინ უნდა იყოს ხელმისაწვდომი. | | 28.3 | შეუსრულებლობის შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია ტუროპერატორის გადახდისუუნარობით. უზრუნველყოფაში მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის გამცემი სუბიექტის მონაცემები, მათ შორის საიდენტიფიკაციო ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონტაქტო მონაცემები, სხვა აუცილებელი მონაცემი, რომელიც საჭიროა უზრუნველყოფის გამოსაყენებლად.<br><br>3.ტუროპერატორი სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციას წარუდგენს შესაბამისი უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტის (სერტიფიკატს) ერთ ეგზემპლარს. უზრუნველყოფისა და მისი ოდენობის შესახებ ინფორმაცია აისახება სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სპეციალურ რეესტრში. | | |
| 18.4. | თუ წევრ სახელმწიფოს ეჭვები აქვს ტუროპერატორის გადახდისუუნარობისგან დაცვისთან დაკავშირებით, მან განმარტება უნდა მოსთხოვოს იმ წევრ სახელმწიფოს, სადაც დაარსებულია ტუროპერატორი. წევრმა სახელმწიფოებმა სხვა წევრი სახელმწიფოების მოთხოვნებს უნდა | 1 | 28. 5 | 5. თუ ცენტრალურ საკონტაქტო ორგანოს ააქვს ეჭვი ტუროპერატორის გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის შესახებ, მან უნდა მოითხოვოს ახსნა-განმარტება ევროპის ეკონომიკური სივრცის შესახებ შეთანხმების სხვა წევრი სახელმწიფოსგან, რომელიც არის | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | უპასუხონ შეძლებისდაგვარად სწრაფად, საკითხის სასწრაფოობისა და სირთულის გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, პირველი პასუხი უნდა გაიცეს მოთხოვნის მიღებიდან მაქსიმუმ 15 სამუშაო დღის განმავლობაში. | | 28. 6 | ტუროპერატორის რეგისტრაციის სახელმწიფო.<br><br>6. თუ ცენტრალური საკონტაქტო ორგანო მიიღებს ინფორმაციას ევროპის ეკონომიკური ზონის შესახებ შეთანხმების სხვა წევრი სახელმწიფოს ცენტრალური საკონტაქტო ორგანოდან საქართველოში რეგისტრირებული ტუროპერატორის მიერ მოწოდებული გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის შესახებ, მან უნდა უპასუხოს ასეთ მოთხოვნას: რაც შეიძლება სწრაფად, საკითხის სასწრაფოობისა და სირთულის გათვალისწინებით, მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში. | | |
| 19.1. | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოვაჭრეებმა, რომლებიც მონაწილეობენ კომბინირებული სავაჭრო მომსახურებების გაყიდვაში, უზრუნველყონ ყველა გადახდილი თანხის დაბრუნების გარანტია, რომელსაც ისინი იღებენ ტურისტებისგან, თუ ტურისტული მომსახურება, რომელიც კომბინირებული ტურისტული მომსახურების ნაწილია, არ სრულდება მათი გადახდისუუნარობის გამო. თუ ამგვარი მოვაჭრეები | 1 | 27.1 | 1. კომბინირებული ტურისტული მომსახურებების მიმწოდებლები, ვალდებული არიან იქონიონ უზრუნველყოფა ყველა გადასახადთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი იღებენ ტურისტისაგან, როდესაც ტურისტული მომსახურება, რომელიც წარმოადგენს კომბინირებული ტურისტული ღონისძიების ნაწილს, ვერ სრულდება მათი გადახდისუუნარობის გამო. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პასუხისმგებელი არიან მგზავრთა გადაყვანაზე, გარანტიაში ასევე უნდა შევიდეს ტურისტის რეპატრიაცია. გამოყენებული უნდა იქნეს მე-17(1) მუხლის მეორე ქვეპუნქტი, მე-17 მუხლის მე-2-დან მე-5 პუნქტამდე და მე-18 მუხლი შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით. | | 27.2<br><br>27.3 | 2. თუ, კომბინირებული ტურისტული მომსახურებების მიმწოდებლები, წარმოადგენენ ტურისტთა გადაყვანაზე პასუხისმგებელ პირებს, უზრუნველყოფა ასევე უნდა ფარავდეს ტურისტის რეპატრიაციას.<br><br>3. ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათალისწინებულ შემთხვევებზე ვრცელდება ამ კანონის 25-ე მუხლი. | | |
| 19.2 | მანამ, სანამ ტურისტს დაავალდებულებს რომელიმე ხელშეკრულება, რომლის შედეგიცაა კომბინირებული ტურისტული მომსახურება ან ნებისმიერი შესაბამისი შეთავაზება, მათ შორის, როდესაც მოვაჭრე არ არის დაარსებული წევრ სახელმწიფოში, მაგრამ, რაიმე საშუალებით, მიმართავს ამგვარ საქმიანობებს წევრი სახელმწიფოსკენ, მან გარკვევით, ამომწურავად და თვალსაჩინოდ უნდა განაცხადოს, რომ ტურისტი:<br><br>(a) არ ისარგებლებს რომელიმე უფლებით, რომელიც ეხება ექსკლუზიურად პაკეტებს ამ დირექტივის მიხედვით და რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული | 1 | 27.4 | 4. მოვაჭრე, რომელიც ხელს უწყობს კომბინირებული ტურისტული მომსახურებების შეძენას, მათ შორის, ევროკავშირის ეკონომიკური გაერთიანების ფარგლებს გარეთ ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოვაჭრე, ვალდებულია ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე ნათლად და გასაგებად განუმარტოს ტურისტს, რომ:<br>ა) ტურისტი ვერ ისარგებლებს პაკეტის ხელშეკრულებისთვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებებით და ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მისი მომსახურების სათანადო შესრულებაზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ მომსახურების თითოეული მიმწოდებელი;<br>ბ) გადახდისუუნარობის შემთხვევაში ტურისტი ისარგებლებს ამ მუხლის პირველი | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მისი მომსახურების სათანადო შესრულებაზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ მომსახურების თითოეული მიმწოდებელი;<br><br>(b) ისარგებლებს გადახდისუუნარობისგან დაცვით 1-ლი აბზაცის შესაბამისად.<br><br>ამ პუნქტთან შესაბამისობისთვის, მოვაჭრემ, რომელიც ყიდის კომბინირებულ ტურისტული მომსახურებებს, ტურისტს უნდა მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაცია II დანართში განსაზღვრული შესაბამისი სტანდარტული ფორმის საშუალებით ან, როდესაც კონკრეტული ტიპის კომბინირებული ტურისტული მომსახურება არ არის შესული აღნიშნულ დანართში მოცემულ რომელიმე ფორმაში, მიაწოდოს მასში შესული ინფორმაცია. | | 27.5 | პუნქტით გათვალიწინებული გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფით.<br><br>ტურისტს მიეწოდება სტანდარტული ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. | | |
| 19.3 | როდესაც მოვაჭრე, რომელიც ყიდის კომბინირებულ ტურისტული მომსახურებებს, არ ასრულებს ამ მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კომბინირებულ ტურისტული მომსახურებაში შესული ტურისტული მომსახურებების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს მე-9 და მე-12 მუხლებსა და IV | 1 | 27.6 | იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი-მე-4 პუნქტების მოთხოვნა არ იქნება შესრულებული კომბინირებული ტურისტული მომსახურებების მიმწოდებლის მიერ, კომბინირებულ ტურისტულ მომსახურებებზე ვრცელდება ამ კანონის მე-17, მე-20-24-ე მუხლებით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თავში განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 19.4 | როდესაც კომბინირებული ტურისტული მომსახურება მიღებულია ხელშეკრულების შედეგად, რომელიც იდება ტურისტსა და მოვაჭრეს შორის, რომელიც არ ყიდის კომბინირებულ ტურისტული მომსახურებას, ამ მოვაჭრემ იმ მოვაჭრეს, რომელიც ყიდის კომბინირებულ ტურისტული მომსახურებას, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამისი ხელშეკრულების დადების შესახებ. | 1 | 27.7 | 7. იმ შემთხვევაში თუ ტურისტი დამატებით ხელშეკრულებას დებს მოვაჭრესთან, რომელიც არ არის კომბინირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი მაგრამ ამ ხელშეკრულების დადებით იქმნება კომბინირებული ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება, მოვაჭრე ვალდებულია შეატყობინოს კომბინირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებელს ასეთი ხელშეკრულების დადების შესახებ. | სშ | |
| 20 | ინდივიდუალური კომპანიის განსაკუთრებული ვალდებულებები, როდესაც ტუროპერატორორი დაარსებულია ევროპის ეკონომიკური ზონის გარეთ<br><br>მე-13(1) მუხლის მეორე ქვეპუნქტისთვის ზიანის მიუყენებლად, როდესაც ტუროპერატორორი დაარსებულია ევროპის ეკონომიკური ზონის გარეთ, წევრ სახელმწიფოში დაარსებულ ინდივიდუალურ კომპანიაზე უნდა გავრცელდეს IV და V თავებში ტუროპერატორორისთვის განსაზღვრული ვალდებულებები, თუ ინდივიდუალური კომპანია არ წარადგენს მტკიცებულებას, რომ | 1 | 31 | ამ კანონის 22-30-ე მუხლები ასევე, ვრცელდება ტურაგენტზე, რომელიც ჰყიდის საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური გაერთიანების ფარგლებს გარეთ დაფუძნებული ტუროპერატორის მიერ შექმნილ პაკეტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტურაგენტი უზრუნველყოფს მტკიცებულებას, რომ შესაბამისი ტუროპერატორი ასრულებს აღნიშნული მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ტუროპერატორორი აკმაყოფილებს აღნიშნული თავების მოთხოვნებს. | | | | | |
| 21 | პასუხისმგებლობა დაჯავშნისას დაშვებულ შეცდომებზე<br><br>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოვაჭრე პასუხისმგებელი იყოს დაჯავშნის სისტემაში არსებული ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც მისი მიზეზითაა გამოწვეული და ასევე, დაჯავშნის პროცესში დაშვებული შეცდომები, იმ შემთხვევაში, თუ მოვაჭრე დასთანხმდა, მოაგვაროს პაკეტის ან იმ ტურისტული მომსახურებების დაჯავშნის საკითხი, რომლებიც კომბინირებული ტურისტული მომსახურებების ნაწილია. | 1 | 25 | მოვაჭრე პასუხისმგებელია მის სისტემაში არსებულ ტექნიკურ ხარვეზზე. მოვაჭრე არ არის პასუხისმგებელი ისეთ შეცდომებზე, რომლებიც დაჯავშნისას ტურისტის მიზეზით ან გარდაუვალი ან/და საგანგებო გარემოებების გამო იქნა გამოწვეული. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოვაჭრე არაა პასუხისმგებელი დაჯავშნისას დაშვებულ შეცდომებზე, რომლებიც გამოწვეულია ტურისტის მიზეზით ან რომლებიც გამოწვეულია გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებების შედეგად. | | | | | |
| 22 | იმ შემთხვევებში, როდესაც ტუროპერატორორი ან, მე-13(1) მუხლის მეორე ქვეაბზაცის ან მე-20 მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური კომპანია იხდის კომპენსაციას, ამცირებს ფასს ან ასრულებს ამ დირექტივით მისთვის დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტუროპერატორორს ან ინდივიდუალურ კომპანიას ჰქონდეს უფლება, ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, რათა მესამე მხარემ, რომელსაც წვლილი მიუძღვის იმ ვითარების შექმნაში, რომელმაც კომპენსაციის, ფასის შემცირების ან სხვა ვალდებულებების შესრულების | 2 | 349<br>411<br>412 | **თავი მეოთხე**<br><br>**მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება**<br><br>**მუხლი 349. ცნება**<br><br>მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.<br><br>**მუხლი 411. ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის** | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | აუცილებლობა წარმოშვა, აანაზღაუროს ზიანი. | | | ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.<br><br>**მუხლი 412. ზიანი, რომელზედაც ვრცელდება ანაზღაურების მოვალეობა**<br><br>ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. | | |
| 23.1. | პაკეტის ტუროპერატორორის ან კომბინირებული ტურისტული მომსახურების გამყიდველი მოვაჭრის განცხადება, რომ ის მოქმედებს ექსკლუზიურად, როგორც ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი, შუამავალი ან მოქმედებს ნებისმიერი სხვა სტატუსით, ან რომ პაკეტი ან კომბინირებული ტურისტული მომსახურება არ წარმოადგენს პაკეტს ან კომბინირებულ | 1 | 12.4 | 4. პაკეტის ორგანიზატორი ტუროპერატორის ან კომბინირებული ტურისტული მომსახურების გამყიდველი მოვაჭრის განცხადება, რომ ის მოქმედებს ექსკლუზიურად, როგორც ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი, შუამავალი ან მოქმედებს ნებისმიერი სხვა სტატუსით, ან რომ პაკეტი ან კომბინირებული ტურისტული მომსახურება არ წარმოადგენს პაკეტს ან კომბინირებულ ტურისტული მომსახურებას, არ ათავისუფლებს | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
